

საქართველოს  
მმართველობის ინდექსი  
2023



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

## ჩვენ შესახებ

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის თბილისში დაფუძნებული არაკომერციული, არაპარტიული კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საყრდენის გასაძლიერებლად და კარგი მმართველობისა და განვითარების ხელშესაწყობად საქართველოში პოლიტიკის კვლევისა და ადვოკატირების მეშვეობით. ინსტიტუტი ასევე ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში საზოგადოების მონაწილეობას. ორგანიზაცია მიზნად ისახავს, გახდეს განათლებისა და პოლიტიკის ინოვაციების მთავარი ცენტრი საქართველოში და შავი ზღვის რეგიონში.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024. ალექსანდრე ჰუმკინის ქუჩა 13, 0107 თბილისი, საქართველო; ტელ: +995 599 99 02 12; ელფოსტა: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge). დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. [www.gip.ge](http://www.gip.ge)

# შინაარსი

<b>ჩვენ შესახებ.....</b>	<b>2</b>
<b>გრაფიკების ჩამონათვალი.....</b>	<b>5</b>
<b>აზრავითურები.....</b>	<b>6</b>
<b>მოკლე მიმოხილვა.....</b>	<b>7</b>
<b>მთავარი მიზნები.....</b>	<b>8</b>
დემოკრატიული მმართველობა.....	8
ეფექტიანი მმართველობა.....	9
სოციალურ-ეკონომიკური მმართველობა.....	9
საგარეო მმართველობა.....	10
<b>შესავალი.....</b>	<b>12</b>
<b>მეთოდოლოგია.....</b>	<b>18</b>
ანგარიშის მიზანი.....	18
კონცეპტუალიზაცია.....	18
ინდექსის სტრუქტურა.....	19
კვლევის მეთოდები.....	20
ექსპერტთა გამოკითხვა.....	20
ექსპერტთა გამოკითხვა.....	20
ნარატიული ანალიზი.....	21
შეზღუდვები.....	21
<hr/>	
<b>დემოკრატიული მმართველობა.....</b>	<b>23</b>
■ ძირითადი მიზნები და მთავარი გამოწვევები.....	25
■ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.....	26
■ საარჩევნო სისტემა.....	28
■ ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება.....	30
■ სამოქალაქო საზოგადოება.....	32
■ შეჯამება.....	34

---

<b>ეფექტიანი მმართველობა.....</b>	<b>37</b>
■ ძირითადი მიგნებები და მთავარი გამოწვევები.....	39
■ ძალაუფლებაზე მონოპოლია.....	41
■ არაფორმალური მმართველობა და ლეგიტიმაციის ალტერნატიული ფორმები.....	43
■ კორუფციის კონტროლი.....	45
■ საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობა.....	46
■ შეჯამება.....	48

---

<b>სოციალურ-ეკონომიკური მმართველობა.....</b>	<b>51</b>
■ ძირითადი მიგნებები და მთავარი გამოწვევები.....	53
■ ეკონომიკური ჩარჩო და შრომითი ბაზარი.....	55
■ ფისკალური პოლიტიკა.....	58
■ სოციალური პოლიტიკა.....	58
■ სოციალური დაცვა და ჯანდაცვა.....	59
■ შეჯამება.....	62

---

<b>საგარეო მმართველობა.....</b>	<b>65</b>
■ ძირითადი მიგნებები და მთავარი გამოწვევები.....	67
■ ევროინტეგრაცია.....	69
■ NATO-სთან და აშშ-სთან დაახლოება.....	70
■ საგარეო გამოწვევებზე რეაგირება.....	72
■ მმართველობა უსაფრთხოების საკითხებში.....	73
■ შეჯამება.....	74

<b>დასკვნა.....</b>	<b>76</b>
---------------------	-----------

<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>77</b>
--------------------------	-----------

# ბრაზიკების ჩაონათვალი

დიაგრამა 1: როგორ შეაფასებდით საქართველოს საქმიანობას მმართველობის სფეროებში 2023 წელს? (სტანდარტიზებული სკალა, მაქსიმალური 100 ქულით).....	13
დიაგრამა 2: მიღწევები და გამოწვევები: საქართველოს შეფასება ყველა ქვეკატეგორიის მიხედვით 2023 წელს (სტანდარტიზებული სკალა, მაქსიმალური 100 ქულით).....	14
დიაგრამა 3: დემოკრატიული მმართველობის ქულები, თუკი სამოქალაქო საზოგადოებისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის როლებს გამოვრიცხავთ.....	14
დიაგრამა 4: თქვენი აზრით, რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევები 2023 წელს საქართველოში? (ყველა ხსენება).....	15
დიაგრამა 5: თქვენი აზრით, რა იყო სამი ყველაზე დიდი პოზიტიური მოვლენა 2023 წელს საქართველოში?.....	16
დიაგრამა 6: თქვენი აზრით, რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა ან იდეა საქართველოსთვის 2024 წლისთვის?.....	17
დიაგრამა 7: როგორ შეაფასებდით საქართველოს საქმიანობას დემოკრატიულ მმართველობასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებში 2023 წელს? (აგრეგირებული და სტანდარტიზებული 100-ქულიან სკალაზე).....	26
დიაგრამა 8: როგორ შეაფასებდით საქართველოს საქმიანობას ეფექტიან მმართველობასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებში 2023 წელს? (აგრეგირებულ და სტანდარტიზებულ 100-ქულიან სკალაზე).....	40
დიაგრამა 9: როგორ შეაფასებდით საქართველოს მიერ განეულ ძალისხმევას სოციალურ და ეკონომიკურ მმართველობასთან დაკავშირებულ შემდეგ სფეროებში? (სტანდარტიზებულია 0-100 ქულიან სკალაზე, სადაც 100 ნიშნავს „ძალიან ეფექტიანს“, ხოლო 0 – „ძალიან არაეფექტიანს“.....	55
დიაგრამა 10: როგორ შეაფასებდით საქართველოს მიერ განეულ ძალისხმევას საგარეო მმართველობასთან დაკავშირებულ შემდეგ სფეროებში 2023 წლის განმავლობაში? (შედეგები სტანდარტიზებულია ასქულიან სკალაზე, სადაც სადაც 100 ნიშნავს „ძალიან ეფექტიანს“, ხოლო 0 „ძალიან არაეფექტიანს“).....	68

## აბრევიატურები

CEC	– საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
DRG	– დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფები
ECHR	– ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
GDP	– მთლიანი შიდა პროდუქტი
GGI	– საქართველოს მმართველობის ინდექსი
GIP	– საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GRECO	– კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი
GYLA	– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ICC	– ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
IDFI	– ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
IDP	– იძულებით გადაადგილებული პირი
ISFED	– სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
MOH	– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MRDI	– საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NBG	– საქართველოს ეროვნული ბანკი
NDI	– ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი
NSC	– საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო
OECD	– ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OECD/ACN	– ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი
OGP	– ღია მმართველობის პარტნიორობა
PAR	– საჯარო ადმინისტრირების რეფორმა
SIGMA	– მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების პროგრამა
SSA	– საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო
SSG	– საქართველოს უსაფრთხოების სამსახური
TI	– საერთაშორისო გამჭვირვალობა
UN	– გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

საქართველოს მმართველობის ინდექსი (GGI) საქართველოს მმართველობას ოთხი ძირითადი მიმართულებით აფასებს: დემოკრატია და ადამიანის უფლებები (დემოკრატიული მმართველობა), სახელმწიფოსა და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობა (ეფექტიანი მმართველობა), სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა (სოციალურ-ეკონომიკური მმართველობა) და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (საგარეო მმართველობა). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მმართველობის ინდექსი ძირითადად საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებზეა კონცენტრირებული, ის სხვა სუბიექტების, მათ შორის პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების როლსაც ანალიზებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არაერთი ინდექსისა და რეიტინგის მსოფლიო თუ რეგიონულ ანალიზში გვხვდება, ქვეყნის მმართველობის ყოველწლიური სიღრმისეული შეფასებები, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, კვლავ მწირია. საქართველოზე მომუშავე არცერთ ორგანიზაციას დღემდე არ უცდია მსგავსი ანალიზი. GGI არამხოლოდ ავსებს საერთაშორისო ინდექსებს თავისი მეთოდოლოგიითა და ემპირიული მონაცემებით, არამედ ინოვაციური მეთოდოლოგიური მიდგომებით მკითხველს სთავაზობს გამორჩეულ პერსპექტივას ქვეყნის წიაღიდან. ამ ინდექსის მიზანია, საქართველოს საზოგადოებას და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს გააცნოს საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, რითაც პასუხობს მზარდ მოთხოვნას ამ საკითხებზე ყოვლისმომცველი ანგარიშის მომზადების შესახებ.

მეთოდოლოგიურად GGI აერთიანებს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ კვლევის მეთოდებსა და ეპისტემოლოგიას. ინდექსის ქულების სისტემა ეყრდნობა GGI-ის ექსპერტთა გამოკითხვას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოზე მომუშავე 47-მა ექსპერტმა სხვადასხვა სფეროდან. რაოდენობრივი კვლევა შეივსო თვისებრივი ანალიზით, რომელიც საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის გუნდმა ჩაატარა.

წინამდებარე ანგარიში GGI-ის რიგით მესამე გამოცემაა. წინა გამოცემების მსგავსად, 2023 წლის ანგარიში ქვეყნის შესახებ ნაკლებად ოპტიმისტურ სურათს ხატავს. საქართველოს საქმიანობა მმართველობის არცერთი მიმართულებით არ არის ოპტიმალური. ქვეყნის მონაცემები მოიკოჭლებს ეფექტიანი მმართველობის კატეგორიაში. ასევე გაუარესებულია საგარეო მმართველობების მიმართულებაც. ცოტა არ იყოს, მოულოდნელად, ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დემოკრატიული მმართველობის სექტორში გამოვლინდა. თუმცა, ეს, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოვლენილ დემოკრატიულ მედეგობასა და საქართველოს პრეზიდენტის დამოუკიდებელ აქტორად ჩამოყალიბებას შეიძლება მივანეროთ, ვიდრე შესამჩნევ პროგრესს ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიულ ფუნქციონირებაში.

## დემოკრატიული მმართველობა

- **დემოკრატიული მმართველობა** – 2023 წელს დემოკრატიული მმართველობა შორს არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობისგან. ამ მიმართულებაში საქართველოს ხელისუფლებამ GGI-ის ექსპერტთა გამოკითხვაში 100-დან მხოლოდ 41,65 ქულა მიიღო. ძირითად გამოწვევებს შორის იყო პოლიტიკური კრიზისი და პოლარიზაცია, სასამართლოს რეფორმირებაში პროგრესის ნაკლებობა, კამპანია გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ და ამ მიზნით ინიცირებული კანონები, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოებისადმი მტრულად განწყობილი გარემო და ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულების შესუსტების მცდელობები.
- ამ ყველაფრის მიუხედავად, დემოკრატიულმა მმართველობამ GGI-ის ინდექსში, სხვა მიმართულებებთან შედარებით, წინა წლიდან ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა – რეიტინგი 2022 წლის 27,33-დან 2023 წელს 41,65-მდე გაიზარდა, რომელზეც, გავლენა იქონია **სამოქალაქო საზოგადოების და პრეზიდენტის** კომპონენტისათვის ექსპერტების მიერ მიცემულმა მაღალმა ქულებმა.
- **საკვანძო ინსტიტუტებზე თავდასხმები** 2023 წლის საექსპერტო გამოკითხვაში მთავარ გამოწვევად დასახელდა. ეს უკავშირდება პოლიტიკურ პოლარიზაციასა და რადიკალიზაციას და, უფრო კონკრეტულად, 2023 წელს სამოქალაქო საზოგადოებისა და საპრეზიდენტო ინსტიტუტის მიმართ რიტორიკას, რომელიც მათ დასუსტებას ისახავდა მიზნად, ასევე, უცხოეთის აგენტების კანონისა („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი) და პრეზიდენტის იმპიჩმენტის მცდელობებს. მეორე მხრივ, წინააღმდეგულ ნაბიჯად სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგობა და მობილიზება და პრეზიდენტის ინსტიტუტის დამოუკიდებლობის გაზრდა დასახელდა.
- **სასამართლო რეფორმის წარუმატებლობა** კვლავ რჩება ქართული დემოკრატიის მთავარ სისუსტედ. შარშანდელთან შედარებით, სასამართლოს დამოუკიდებლობის რეიტინგი კიდევ უფრო შემცირდა 2023 წლის GGI-ის ექსპერტთა გამოკითხვაში. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და კომპეტენციის ნაკლებობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომელიც გამოკითხვაში მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა.
- **დემოკრატიული მმართველობის სხვა, ძველი თუ ახალი გამოწვევები** მოიცავს პოლარიზაციის მაღალ დონეს, ერთპარტიულ დომინირებას, კონტროლისა და ბალანსის სისტემის ხარვეზებს, ლგბტქი+ უფლებების დაცვის ნაკლებობას, ახალ, საკამათო ცვლილებებს შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში, ასევე, ცესკოს წევრების არჩევის წესის ცვლილებას საარჩევნო კოდექსში.
- **2023 წლის პოზიტიურ მოვლენებში** დასახელდა ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, საკანონმდებლო ცვლილებები გენდერული თანასწორობის და საარჩევნო დათვლის სისტემის შესახებ; ადა-



მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინება; მმართველ პარტიასა და ოპოზიციის ნაწილს შორის შემდგარი კონსენსუსით სახალხო დამცველის არჩევა ევროკავშირის რეკომენდაციების ნაწილობრივ შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს.

## ეფექტიანი მმართველობა

- **ეფექტიანი მმართველობა** კვლავ პრობლემატურ კატეგორიად რჩება 2023 წელსაც, რომელმაც ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად საგარეო მმართველობის შემდეგ რიგით მეორე უდაბლესი ქულა მიიღო (100-დან 33.26 ქულა).
- 2022 წლის მსგავსად, 2023 წელსაც **მთავარი პრობლემებს** არაფორმალური მმართველობა, პოლიტიკური კორუფცია, ძალაუფლების მონოპოლიზაცია, და დამოუკიდებელი სასამართლო წარმოადგენდა. 2023 წელსაც დაფიქსირდა, რომ სახელმწიფო ლეგიტიმურ ძალაუფლებას ძალადობრივ ჯგუფების მიმართ მოზომილად იყენებს, რაც პერიოდულად ისახება პოლიტიკური ოპონენტებისა და უმცირესობების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვაში.
- 2023 წლის განმავლობაში გრძელდებოდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან **უკანონო ბორდერიზაცია და საქართველოს მოქალაქეების გატაცება**. ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებით სახელმწიფოს ლეგიტიმური ძალაუფლების არ არსებობამ გამოიწვია კონკრეტული ტრაგედიები – 2023 წლის ბოლოს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს ორი მოქალაქე მოკლა.
- **არაფორმალური მმართველობა** და ლეგიტიმაციის ალტერნატიული წყაროების არსებობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რასაც ხელს უწყობს ძალაუფლების მონოპოლიზაცია მმართველი პოლიტიკური პარტიის მიერ, მყიფე პოლიტიკური ინსტიტუტები და დამოუკიდებელი სასამართლოს არაეფექტიანობა. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე პოლიტიკური კორუფციის დაძლევა.
- **წინადადებულ ნაბიჯებს** შორის არის საჯარო მმართველობის ახალი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და საჯარო სერვისების ეტაპობრივად გაციფრულება.

## სოციალური და ეკონომიკური მმართველობა

- **სოციალურ-ეკონომიკური მმართველობის** საერთო ქულა 2023 წელს 38,22 იყო – და სოციალურ-ეკონომიკურმა მმართველობამ ამ ქულით მეორე ადგილი დაიკავა მმართველობის სხვა სფეროებს შორის. შედარებით მაღალი ქულა განპირობებულია ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებით, ინფლაციური წნეხის შემცირებითა და გარკვეული პოზიტიური ნაბიჯებით სოციალური პოლიტიკის მიმართულებით, ძირითადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ.

- ნლევანდელ ინდექსშიც, 2022 წლის მსგავსად, ყველაზე დაბალი ქულა დაფიქსირდა **ეკონომიკურ ჩარჩო-პოლიტიკასა და შრომის ბაზრის პოლიტიკაში**. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს უმუშევრობის დონე კიდევ უფრო შემცირდა, სიღარიბე და ეკონომიკური დაბრკოლებები საზოგადოების მთავარ პრობლემად რჩება. დაბალი ხელფასები და სამუშაო შესაძლებლობების ნაკლებობა კვლავ რჩება საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი ემიგრაციის ძირითად მიზეზებად.
- მმართველობის ამ სფეროს ქვეკატეგორიებში ყველაზე მაღალი ქულა **საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკას** მიენიჭა. ეს შეიძლება აიხსნას ქვეყანაში დაფიქსირებული საერთო ეკონომიკური ზრდით, რამაც ხელი შეუწყო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასა და მიმდინარე ბიუჯეტის ბალანსის გაუმჯობესებას. საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის გამყარებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სახელმწიფო ვალის შემცირებას.
- მიუხედავად იმისა, რომ **სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის** პროცენტულმა მაჩვენებელმა 17%-დან 15.6%-მდე იკლო, სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობა კვლავ 17.9%-ია. სიღარიბის მაჩვენებლის კლება შესაძლოა დაკავშირებული იყოს საზოგადოებრივ სამუშაოებზე სოციალურად დაუცველი, საარსებო შემწეობის მიმღები პირების დასაქმებასთან.
- **DRG სისტემის** ამოქმედებამ და მედიკამენტების ფასების რეგულირებამ გაზარდა ჯანდაცვაზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა, თუმცა წარმოშვა სერვისის და წამლების ხარისხის გაუარესების რისკები.

## საგარეო მმართველობა

- CGI-ის ინდექსის გამოკითხვის მონაწილე ექსპერტების მიერ საგარეო მმართველობისთვის მინიჭებული **საერთო ქულა შესამჩნევად გაუარესებულია** – თუკი 2022 წელს ეს რიცხვი 100-დან 32,77 იყო, წელს 26,42-მდე დაეცა; ეს დინამიკა გამოიწვია საქართველოს საგარეო პოლიტიკის მმართველობაში დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ერთობლიობამ. როგორც შეფასება გვიჩვენებს, გარკვეულ სფეროებში უკუსვლა ან წინსვლის ნაკლებობა აღემატება 2023 წლის მნიშვნელოვან მიღწევებს.
- 2023 წელი იყო ისტორიული წელი ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით: დეკემბერში ევროპულმა საბჭომ საქართველოს **კანდიდატის სტატუსი** მიანიჭა. მეორე მხრივ, ბრიუსელისა და თბილისის პოლიტიკური ურთიერთობები სულ უფრო არაპროგნოზირებადი ხდება. 2023 წელს გამოქვეყნებული კომისიის ანგარიშების თანახმად, ბრიუსელი შემფოთებულია საქართველოს ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთან შესაბამისობის მაჩვენებლის დაქვეითებით.
- **ნატოსთან სამხედრო სწავლებებისა და წვრთნების** კუთხით თანამშრომლობის გაგრძელების, ასევე, თბილისისა და ბრიუსელს შორის მაღალი დონის კომუნიკაციის შენარჩუნების მიუხედავად, ნატოს 2023 წლის სამიტმა აჩვენა, რომ საქართველოს არ


ჰქონია მნიშვნელოვანი წინსვლა ალიანსში განწევრიანებისკენ.

- **ევროპის არალიბერალურ რეჟიმებთან დაახლოება**, ისევე, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმება კითხვის ნიშნებს ბადებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ვექტორთან, გეოპოლიტიკურ პოზიციებთან და დემოკრატიულ განვითარებასთან დაკავშირებით. რუსეთთან პრაგმატიზმისა და „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკის კვალდაკვალ, იზრდება შეშფოთება რუსეთისგან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების გაზრდის თაობაზე.

რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური დაძაბულობის გავლენით, – რაც ასევე აირეკლა ქვეყნის შიდა ლანდშაფტმა, – 2023 საქართველოსთვის კიდევ ერთი მშფოთვარე წელი გამოდგა. ძირითადი საშინაო გამოწვევები, მათ შორის პოლარიზაცია, რადიკალიზაცია, არაფორმალური მმართველობა და მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, კვლავინდებურად შენარჩუნდა, რამაც კიდევ უფრო შეაფერხა გასულ წელს ქვეყნის განვითარება. წლის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მარტის პროტესტი „უცხოეთის აგენტების კანონის“ წინააღმდეგ და ევროპული საბჭოს დეკემბრის გადამწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე.


GGI-ის ექსპერტთა გამოკითხვამაც საინტერესო ტენდენციები აჩვენა. საერთო ჯამში, წინა წლების მსგავსად, მმართველობის არცერთ სფეროს არ მიუღია დადებითი შეფასება და ვერცერთმა ვერ გადალახა 50%-იანი ბარიერი (დიაგრამა 1). მაგრამ უნდა ითქვას, რომ ცალკეული მმართველობის სფეროების შეფასებებში მნიშვნელოვანი განსხვავებები შეიმჩნეოდა. ბევრისთვის გასაკვირად, დემოკრატიულმა მმართველობამ ყველაზე მეტი პროგრესი აჩვენა და მმართველობის ინდექსის სათავეში აღმოჩნდა (დიაგრამა 1). ეს ძირითადად განპირობებული იყო სამი ქვეკატეგორიისთვის მინიჭებული მაღალი ქულებით: სამოქალაქო საზოგადოება, პრეზიდენტი და არჩევნების დღის ადმინისტრირება. 2023 წლის მარტის საპროტესტო დემონსტრაციებში, – რაც გადამწყვეტი მომენტი იყო ქვეყნის დემოკრატიისთვის, – მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდობის მიერ შესრულებული საკვანძო როლი, ალბათ, მთავარი იყო, რისი დამსახურებითაც სამოქალაქო საზოგადოების ქვეკატეგორია 35-ვე ქვეკატეგორიის სათავეში მოექცა (სურათი 2). თუ სამოქალაქო საზოგადოებას და პრეზიდენტის როლის ზრდას, როგორც ცვლადებს ამოვიღებთ, დემოკრატიული მმართველობის სფეროში პროგრესი გაცილებით ნაკლები გამოვა; თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი მმართველობის ეს სფერო ყველაზე მეტ პროგრესს აჩვენებდა 2022 წელთან შედარებით (დიაგრამა 3).

დიაგრამა 1: როგორ შეაფასებდით საქართველოს საქმიანობას მმართველობის სფეროებში 2023 წელს? (სტანდარტიზებული სკალა, მაქსიმალური 100 ქულით)




საგარეო მმართველობამ განაგრძო კლების უარყოფითი ტენდენცია. 2023 წელს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საგარეო მმართველობა ბოლო ადგილზე, თანაც დიდი სხვაობით აღმოჩნდა (დიაგრამა 1). ქვეკატეგორიებიდან „ევროკავშირთან ურთიერთობების წინ წანევა“ და „აშშ-სთან ურთიერთობების გაღრმავება“ აღმოჩნდნენ რეიტინგის ბოლოში (დიაგრამა 2). დანარჩენი ორ სფეროს, ეფექტურ მმართველობასა და სოციალურ-ეკონომიკურ მმართველობას 2023 წლის ჩჩ კვლევაში, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია.

დიაგრამა 2: მიღწევები და გამოწვევები: საქართველოს შეფასება ყველა ქვეკატეგორიის მიხედვით 2023 წელს (სტანდარტიზებული სკალა, მაქსიმალური 100 ქულით).



GGI-ის კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკა ისეა გადახლართული, როგორც არასდროს. გარე მმართველობის სფეროში დაფიქსირებული ყველაზე ცუდი მაჩვენებლები მიუთითებს გარე საკითხების მზარდ მნიშვნელობას და მათ გავლენას შიდა პოლიტიკურ დინამიკაზე. ხოლო საქართველოს პრეზიდენტის უჩვეულოდ მაღალი რეიტინგი (მეორე ადგილი სამოქალაქო საზოგადოების შემდეგ) შეიძლება დაკავშირებული იყოს მის დიპლომატიურ ინიციატივებთან და მის მიერ საქართველოს ევროპული პერსპექტივის გულმხურვალე მხარდაჭერასთან.

დიაგრამა 3: დემოკრატიული მმართველობის ქულები, თუკი სამოქალაქო საზოგადოებისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის როლებს გამოვრიცხავთ




ინდექსის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იყო მმართველობის ოთხივე სფეროში ძირითადი ხარვეზების გამოვლენა. დიაგრამა 4 გვიჩვენებს ჩჩი-ის ექსპერტთა გამოკითხვაში მიღებული ყველა პასუხის გაერთიანებულ შედეგებს (სამი ან მეტი ხსენებით). წინა წლის



მსგავსად, მთავარ საკითხად გამოიკვეთა სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების გაუარესება (დიაგრამა 4). ორი ახალი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც 2023 წლის კვლევაში გამოიკვეთა, იყო ავტორიტეტული ინსტიტუტების - როგორცაა საქართველოს ეროვნული ბანკის, პრეზიდენტის აპარატისა და სახალხო დამცველის აპარატის - დასუსტების მცდელობა (მე-2 ადგილი) და საჯარო სერვისების პოლიტიზება (მე-3 ადგილი). ასევე, 2023 წელს პირველად აღმოჩნდა პასუხებში პოლიტიკური ოპოზიციის სისუსტეც (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4: თქვენი აზრით, რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევები 2023 წელს საქართველოში? (ყველა ხსენება)




მეორე მხრივ, 2023 წლის მთავარ მიღწევებსა და პოზიტიურ მოვლენებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი დაიკავა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებამ (დიაგრამა 5). საქართველოს ჩართულობა რეგიონულ პროექტებში, ასევე, ზოგიერთი შიდა ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულება, როგორცაა რიკოთის გზატკეცილი, ასევე დასახელდა მნიშვნელოვან მიღწევად (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5: თქვენი აზრით, რა იყო სამი ყველაზე დიდი პოზიტიური მოვლენა 2023 წელს

## საქართველოში?

და ბოლოს, GGI-მ ასევე გააანალიზა 2023 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები საქართველოში.




ველოს მმართველობის გაუმჯობესების შესახებ. ამ მხრივ, 2023 წელი იყო პირველი წელი, როდესაც სასამართლო რეფორმას პირველი ადგილის დათმობა მოუწია. სავარაუდოდ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საარჩევნო რეფორმა და მისი ცალკეული ასპექტები, როგორცაა საარჩევნო ბარიერის დაწევა საქართველოსთვის 2024 წლის უმთავრეს პრიორიტეტად იქნა დასახელებული. რეკომენდაციების სიაში წელს პირველად გამოჩნდნენ დეპოლარიზაცია და სამხედრო მოდერნიზაცია/რეფორმები.

დიაგრამა 6: თქვენი აზრით, რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა ან იდეა საქართველოში?



## რთველოსთვის 2024 წლისთვის?



## ანგარიშის მიზანი

საქართველოს მმართველობის ინდექსი (ჩჩი) სწავლობს საქართველოს შედეგებს მმართველობის ოთხი მიმართულებით: დემოკრატიული მმართველობა, ეფექტიანი მმართველობა, სოციალურ-ეკონომიკური მმართველობა და საგარეო მმართველობა. წინამდებარე კვლევის მიზანია მმართველობის სხვადასხვა მიმართულებით საქართველოს მთავარი გამოწვევების და ჩავარდნების და ასევე მიღწევების განსაზღვრა და შესაბამისი პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება, თუ როგორ მოხდეს რისკების შემცირება და მმართველობის ხარისხის გაუმჯობესება.

მოცემული ინდექსის სამიზნე ჯგუფია ფართო აუდიტორია, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები, მასმედიის წარმომადგენლები, კვლევითი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო და შიდა დამკვირვებლები და ექსპერტები; ისევე, როგორც ფართო საზოგადოების წევრები, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოს მმართველობის დინამიკით. ინდექსი წარმოდგენილი იქნება თბილისში საქართველოს მმართველობისა და დემოკრატიზაციის პროცესში არსებული გამოწვევების შესახებ ქართული და საერთაშორისო საზოგადოების უკეთ ინფორმირების, რეფორმების საერთაშორისო კონტექსტში განხილვის და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ადვოკატირების მიზნით. ინდექსი გააძლიერებს პოლიტიკოსთა ანგარიშვალდებულებას მათი ამომრჩევლის წინაშე და ხელს შეუწყობს უფრო გამჭვირვალე მმართველობას. გარდა ამისა, იგი დაეხმარება საქართველოს მთავრობას, მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი მის მიერ გატარებული პოლიტიკისა და დაგეგმილი რეფორმების შესახებ სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებისგან, ისევე როგორც ქართული კვლევითი და ექსპერტთა საზოგადოებისგან. წარმოდგენილი ინდექსი იქნება პლატფორმა სამოქალაქო საზოგადოებისთვის, პოლიტიკის შესახებ შეხედულებებისა და კონსტრუქციული წინადადებების გამოსახატად.

## კონცეპტუალიზაცია

კონცეპტუალური ჩარჩოს თვალსაზრისით, GGI იყენებს მყარი დემოკრატიის კონცეფციას, რომელიც გერმანელმა პოლიტიკური მეცნიერებების მკვლევარმა ვოლფგანგ მერკელმა შეიმუშავა. მყარი დემოკრატია ხუთი ერთმანეთთან ურთიერთკავშირში მყოფი რეჟიმისგან შედგება: სამოქალაქო უფლებები, პოლიტიკური უფლებები, საარჩევნო რეჟიმი, ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება და ეფექტიანი ძალაუფლება მმართველობისთვის (Merkel 2004). აღნიშნული ხუთი რეჟიმი ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ასევე უკავშირდება სხვა კონტექსტუალურ კომპონენტებს, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფოებრიობა და სოციალურ-ეკონომიკური რეკვიზიტები (Merkel 2004). ამ კონცეფციის სხვადასხვა ასპექტი შეტანილია წამყვან ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც დემოკრატიის სხვადასხვა ასპექტი იზომება. ზოგი რეიტინგი საგანგებოდაც მოარგეს ამ კონცეფციას (მაგ., დემოკრატიის ბარომეტრი). მყარი დემოკრატია, როგორც

კონცეფცია, რამდენიმე არასრული სისტემისგან შედგება, რომლებიც დემოკრატიული და ეფექტიანი მმართველობის ასპექტებს ეხება და ასევე მოიცავს ეკონომიკურ და სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებულ კონექსტუალურ მდგომარეობებს, თუმცა ის ძირითადად მაინც დემოკრატიულ მიღწევებზეა ფოკუსირებული. GGI-ში ჩვენ ყველა არასრული სისტემა და კონექსტუალური კომპონენტები შევიტანეთ, რათა კარგი მმართველობის მდგომარეობა გაგვეზომა საქართველოში. თუმცა, ასევე დავამატეთ ერთი განზომილება: საგარეო მმართველობა ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და უსაფრთხოების რისკების მშვიდობიან მართვაზე აქცენტით. მართალია, დემოკრატიის და კარგი მმართველობის საზომ ინდექსებში საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროს შეტანა ჩვეული პრაქტიკა არ არის, მაგრამ მისი ჩართვა ამ ჯაჭვს მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ და ემპირიულ რგოლს მატებს. დემოკრატიზაციისკენ სწრაფვაში საქართველო, როგორც ევროკავშირის ასპირანტი ქვეყანა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკავშირისა და აშშ-ზე. დემოკრატიზაციის შესახებ ლიტერატურაში დემოკრატიზაციის გარე განზომილების ხაზგასასმელად ხშირად არის ნახსენები ისეთი სხვადასხვა პრაქტიკა, როგორებიცაა გამოცდილების გათვალისწინება, იმიტაცია, პირობითობა, დიფუზია და დემოკრატიული ნორმების მიღება. ამაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია და დემოკრატიზაცია პოზიტიურ კორელაციაშია ერთმანეთთან, ხოლო ევროატლანტიკური ჰარმონიზაციის ხარისხი, ასევე, უსაფრთხოების რისკების მშვიდობიანი მართვა და მათთან ადაპტაცია დემოკრატიის მეტი კონსოლიდირების ერთ-ერთ კრიტერიუმად ან წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ.

## ინდექსის სტრუქტურა

მყარი დემოკრატიის კონცეპტუალურ ჩარჩოზე დაყრდნობით, საქართველოს მმართველობის ინდექსი (ჩჩი) შეისწავლის საქართველოს შედეგებს მმართველობის ოთხი მიმართულებით. თითოეული ეს მიმართულება იყოფა 4 ქვეკატეგორიად, რომლებიც ცალ-ცალკე გააანალიზეს ინდექსის ავტორებმა და ქულებით შეაფასეს გამოკითხულმა რესპონდენტებმა.

- **დემოკრატიული მმართველობა (დემოკრატია და ადამიანის უფლებები)**
  - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები
  - საარჩევნო სისტემა
  - ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება
  - სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო აქტორები
- **მთავრობის ეფექტიანობა (სახელმწიფოებრიობა და სახელმწიფო ინსტიტუტები)**
  - ძალაუფლებაზე მონოპოლია
  - არაფორმალური მმართველობა და ლეგიტიმაციის ალტერნატიული წყაროები
  - კორუფციის კონტროლი
  - საჯარო მმართველობა
- **სოციალური და ეკონომიკური მმართველობა (სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა)**
  - საჯარო სერვისები და კონკურენცია

- საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკა
- სოციალური პოლიტიკა
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა

- **საგარეო მმართველობა**

- ევროპული ინტეგრაცია
- ნატოსთან და აშშ-სთან დაახლოება
- საგარეო, რეგიონულ გამონვევებსა და გლობალურ ცვლილებებზე რეაგირება
- უსაფრთხოების სფეროს მმართველობა

## **კვლევის მეთოდები**

ინდექსის მეთოდოლოგია მოიცავს კვლევის როგორც თვისებრივ ისე რაოდენობრივ მეთოდებს. პოლიტიკის ექსპერტთა გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი იყო ცალკეულ კატეგორიებსა და ქვეკატეგორიებში საქართველოს ეფექტიანობის შესაფასებლად. თითოეულ კატეგორიაში კვლევის მონაცემებს საქართველოში არსებული მდგომარეობის თვისებრივი ანალიზი ემატება. თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების ინტეგრაცია, კვლევის შედეგების ტრიანგულაციასთან ერთად, განხორციელდა კომპლექსური შეფასების პროცესის ფონზე, რომელშიც კვლევებისა და ინდექსების როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები მონაწილეობდნენ.

## **ექსპერტთა გამოკითხვა**

ინდექსის მეთოდოლოგია მოიცავს კვლევის როგორც თვისებრივ ისე რაოდენობრივ მეთოდებს. პოლიტიკის ექსპერტთა გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი იყო ცალკეულ კატეგორიებსა და ქვეკატეგორიებში საქართველოს ეფექტიანობის შესაფასებლად. თითოეულ კატეგორიაში კვლევის მონაცემებს საქართველოში არსებული მდგომარეობის თვისებრივი ანალიზი ემატება. თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების ინტეგრაცია, კვლევის შედეგების ტრიანგულაციასთან ერთად, განხორციელდა კომპლექსური შეფასების პროცესის ფონზე, რომელშიც კვლევებისა და ინდექსების როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები მონაწილეობდნენ.

## **ექსპერტთა გამოკითხვა**

ექსპერტთა გამოკითხვის რესპონდენტებს შორის იყვნენ მკვლევრები, მეცნიერები, პოლიტიკის ექსპერტები, სამოქალაქო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლები. თითოეულ სფეროში 10 რესპონდენტი შეირჩა პოლიტიკური მიუკერძოებლობისა და აკადემიური ან შესაბამისი პოლიტიკის ექსპერტიზის საფუძველზე.

აკადემიური წრეებიდან რესპონდენტების შერჩევა შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით განხორციელდა:

- მინიმუმ ერთი პუბლიკაცია საქართველოს შესახებ რეცენზირებად გამოცემაში, არაკეთილსინდისიერი ჟურნალებისა და დაფინანსებული სტატიების გამოკლებით;
- პოლიტიკურ პარტიასთან ან მოძრაობასთან კავშირის არარსებობა;

რესპონდენტები სამოქალაქო და საექსპერტო საზოგადოებიდან შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა:

- საქართველოს შესახებ რელევანტურ თემაზე მოხსენებების და ანალიზის თანაავტორობა და / ან ქართულ/საერთაშორისო მედიაში ხშირი საჯარო გამოსვლები;
- პოლიტიკურ პარტიასთან ან მოძრაობასთან კავშირის არარსებობა;

ექსპერტთა გამოკითხვა ჩოგლე ფორმების გამოყენებითა და სრული ანონიმურობის დაცვით ჩატარდა. ექსპერტებს უნდა შეეფასებინათ საქართველოს მიღწევები შესაბამისი საკითხის სხვადასხვა კატეგორიაში; ასევე, გაეზიარებინათ შეხედულებები მთავარ გამოწვევებზე, წინ გადადგმულ ნაბიჯებსა და აუცილებელ რეფორმებზე.

### **ნარატიული ანალიზი**

ექსპერტთა გამოკითხვას თვისებრივი კონტენტ-ანალიზი ავსებს, რომელზეც საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსებით დაკომპლექტებულმა საგანგებო ჯგუფმა იმუშავა. თვისებრივი ანალიზი პირველადი და მეორადი წყაროების (სახელმწიფო დოკუმენტები, ანგარიშები, ინტერვიუები, გამოსვლები, შეხვედრების ოქმები, კომენტარები და საგაზეთო სტატიები) შინაარსის ანალიზს ეყრდნობა. სამაგიდო კვლევაზე დაფუძნებული მონაცემთა ანალიზის გარდა, სფეროს ექსპერტებთან რამდენიმე ნახევრად სტრუქტურირებული თვისებრივი ინტერვიუ ჩატარდა. ნარატიული ანალიზის ცალკეულმა ნაწილებმა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მრავალშრიანი განხილვის პროცესი გაიარეს. აქვე აღსანიშნავია, რომ ნარატიული ნაწილი შესაბამისი საკითხის სფეროებს ქულებით არ აფასებს. ის აერთიანებს ექსპერტთა შეფასებებს, როგორც ნახევრად რაოდენობრივ ინსტრუმენტს, მათი კრიტიკული განხილვის გარეშე.

### **შეზღუდვა**

აქვე უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური შეზღუდვა. პირველ რიგში, ეს მმართველობის ინდექსის მხოლოდ მესამე გამოცემაა და, შესაბამისად, ინდექსის მონაცემების შედარება მხოლოდ 2021 და 2022 წლების კვლევებთან არის შესაძლებელი. ამის გამოა, რომ არ გვაქვს შესაძლებლობა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მრავალწლიან დინამიკაში განვიხილოთ. მეორეც, ეს ინდექსი ერთი ქვეყნის მდგომარეობის შესწავლას ემსახურება, რასაც ასევე აკლია სხვა ქვეყნებთან შედარების, მათგან განმასხვავებელი მახასიათებლების აღმოჩენის შესაძლებლობა. მეორე მხრივ, კვლევაში მმართველობის სხვადასხვა კატეგორიების და ქვეკატეგორიების გაანალიზება თავად ქვეყნის შიგნით ეფექტიანობის სექტორთაშორისი შედარების შესაძლებლობას იძლევა. მონაცემთა შეგროვების თვალსაზრისით, კვლევის ავტორებს გაუჭირდათ ბოლოდროინდელი მოვლენების თაობაზე მონაცემების მოძიება. დაბოლოს, ვინაიდან ანგარიში, ძირითადად, თვისებრივია, – და იგი მცირე მასშტაბის ნახევრად-რაოდენობრივ გამოკითხვას ეფუძნება - არ

გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი ინფორმაცია აკადემიურად მიკერძოებულ შეხედულებებს შეიცავდეს.

დემოკრატიული მმართველობა





## ძირითადი მიზნები და მთავარი გამოწვევები

- მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები და ზოგიერთი მედია საშუალების დამფუძნებლებისა და ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო საქმეები 2023 წელსაც მთავარ გამოწვევებში აღმოჩნდა. წინა წლის მსგავსად, პოლიტიკურმა პოლარიზაციამ და ერთი პარტიის დომინირებამ, – ასევე, პრეზიდენტის იმპიჩმენტის მცდელობამ და ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის შესუსტებამ, – გამოიწვია პრობლემები კონტროლისა და ბალანსის სისტემაში, მის ეფექტურობაში.
- 2023 წელს უკან გადადგმულ ნაბიჯებს შორის აღმოჩნდა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები, რომელმაც შეზღუდა გამობატვის თავისუფლება; ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში, რამაც სახელმწიფო რეგულირების მასშტაბი გაზარდა; ლგბტქ+ თემისთვის კვლავ შეზღუდული იყო შეკრების თავისუფლების უფლებით სარგებლობა; ამ სიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ე.წ. უცხოეთის აგენტების კანონის მიღების მცდელობამ, რამაც, – მიუხედავად იმისა, რომ უკან გაიწვიეს, – კიდევ უფრო მეტად დააზიანა სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთობა, რამაც, თავის მხრივ, გააღრმავა სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხრიდან ხელისუფლების მიმართ უნდობლობა.
- პოზიტიურ მოვლენებს შორის დასახელდა საარჩევნო ცვლილებები გენდერულ თანასწორობაზე; ცვლილებები საარჩევნო კოდექსში ხმების დათვლის სისტემისა და საარჩევნო ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით; საკრებულოების დეპუტატებისა და მერის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება; საქართველოს ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები; ნიკა გვარამიას შეწყალება; და ოპოზიციის ნაწილთან კონსენსუსით სახალხო დამცველის არჩევის შესახებ კანონში ცვლილებები.


2023 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებას, გატარებული რეფორმების მხრივ, ხელი შეუწყო გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში გარკვეულმა პროგრესმა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებამ. თუმცა არსებითი პროგრესი არ დაფიქსირებულა არცერთ მთავარ აქტუალურ საკითხში, რომლებიც ეხება, მათ შორის, პოლიტიკურ პოლარიზაციას, ერთპარტიულ მმართველობას, სასამართლოს დამოუკიდებლობას და სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მადისკრედიტირებელ რიტორიკასა და შევიწროების პოლიტიკას (European Commission 2023). 2023 წელი, წინა წლის მსგავსად, სავსე იყო გამოწვევებითა და უკან გადადგმული ნაბიჯებით.

2023 წელს GGI-ის ექსპერტთა გამოკითხვაში დემოკრატიულმა მმართველობამ 100-დან 41,6 ქულა მიიღო. შარშანდელთან შედარებით, ქულები შემცირდა პუნქტებში, რომლებიც

ეხება საარჩევნო კანონმდებლობას, წინასაარჩევნო გარემოსა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. თუმცა, არის გარკვეული გაუმჯობესება საარჩევნო დღის ადმინისტრირების, სიტყვისა და მედიის თავისუფლების მაჩვენებლებში, რაც, შესაძლოა, გამომწვეული იყოს საპროტესტო მოძრაობებით, რაც მიმართული იყო სამოქალაქო საზოგადოებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის წინააღმდეგ შემოთავაზებული კანონების წინააღმდეგ. სამოქალაქო საზოგადოებამ ასევე მიიღო უმაღლესი ქულები ეფექტური მობილიზებისა და ხელისუფლების ზენოლისათვის წინააღმდეგობის განწევის გამო; ანალოგიური განვითარება განიცადა ჰორიზონტალურმა ანგარიშვალდებულებამ - პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის განხეთქილების გამო.

ამავდროულად, ექსპერტებმა 2023 წლის მთავარ გამოწვევად და უკან გადადგმულ ნაბიჯებად სწორედ სამოქალაქო საზოგადოებისა და საპრეზიდენტო ინსტიტუტის მიმართ სამთავრობო რიტორიკა და შევიწროების პოლიტიკა დაასახელეს, – უკიდურესი პოლარიზაციისა და ერთპარტიული მმართველობის კონტექსტში, – სასამართლოს დამოუკიდებლობის ნაკლებობასთან ერთად.

*დიაგრამა 7: როგორ შეაფასებდით საქართველოს საქმიანობას დემოკრატიულ მმართველობასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებში 2023 წელს? (აგრეგირებული და სტანდარტიზებული 100-ქულიან სკალაზე).*



## სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

2023 წელს საქართველოს მხოლოდ შეზღუდული პროგრესი ჰქონდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და მათი პრაქტიკის გაუმჯობესების კუთხით. 2023 წლის მარტში, ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველომ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და კონსულტაციისთვის წარუდგინა სამოქალაქო საზოგადოებას. თუმცა, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით გარკვეული დადებითი ელემენტების მიუხედავად, ზოგიერთი ძირითადი საკითხი გადაუჭრელი რჩება არა მხოლოდ კანონმდებლობის ფარგლებში, არამედ ფუნდამენტური უფლებების დაცვის კუთხითაც (European Commission 2023).

გამოხატვის თავისუფლების კუთხით საქართველომ 2023 წელს შეზღუდული პროგრესი აჩვენა. ერთ-ერთი მთავარი უკან გადადგმული ნაბიჯი იყო 2 ოქტომბერს დარეგისტრირებული კანონპროექტი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, რომელიც მმართველ

ლი პარტიის დეპუტატებმა წარადგინეს და დაჩქარებული წესით განიხილეს (Parliament of Georgia 2023). კანონპროექტმა არაერთი შეზღუდვა შემოიღო პრაქტიკაში, მათ შორის უფრო მკაცრი რეგულაციები შეკრების დროს სტრუქტურის მონაცემებისა და ამ სტრუქტურის პოლიციის მიერ დემონტაჟის უფლების შესახებ (იგივე). სამოქალაქო საზოგადოებამ გააკრიტიკა შემოთავაზებული ცვლილებები და მას უწოდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების გამოყენებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უკიდურესი შეზღუდვა და უკან გადადგმული ნაბიჯი (Transparency International 2023).

მედია გარემო კვლავ პლურალისტურია, მაგრამ უაღრესად პოლარიზებულია და მედიას მტრულ გარემოში უწევს ოპერირება. 2023 წელს საქართველოს პრესის თავისუფლების რეიტინგი გაუმჯობესდა, – ორგანიზაციის, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, თანახმად, საქართველომ 2022 წლის 89-ე ადგილიდან 2023 წელს 77-ე ადგილზე გადაინაცვლა. თუმცა, ანგარიშის მიხედვით, „ხელისუფლების ჩარევა ძირს უთხრის პრესის თავისუფლების გასაუმჯობესებლად განეულ ძალისხმევას“ (Reporters without Borders 2023). თავისუფალი გამოხატვა ნებადართულია, მაგრამ ხელისუფლება ხშირად მტრულად არის განწყობილი კრიტიკული ჟურნალისტების მიმართ. პოლიტიკური და ბიზნეს ინტერესების გადაკვეთა კვლავ აფერხებს მედიის დამოუკიდებლობას (Freedom House 2023). მედიის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, თუმცა მედიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში დაცვა სერიოზულ მუშაობას მოითხოვს (European Commission 2023).

2022 წლის ბოლოს პარლამენტმა მმართველი პარტიის მხარდაჭერით „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში მიიღო ცვლილებები, რომელიც სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს უფლებას აძლევს, დააჯარიმოს მედიასაშუალებები სიძულვილის ენის შემცველი და ტერორიზმის წამაქეზებელი კონტენტის გამო (OC Media 2023). მოგვიანებით კანონპროექტი შეიცვალა, რათა მარეგულირებელი კომისიიდან სიძულვილის ენაზე პასუხისმგებლობის ნაწილი კვლავ მაუწყებლების თვითრეგულირების ორგანოებში გადატანილიყო (Civil.ge 2023). მაგრამ 2023 წლის ოქტომბერში ინიცირებული იქნა კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს მარეგულირებელი ორგანოს უფლებებს, განსაკუთრებით სიძულვილის ენასთან გამკლავების თვალსაზრისით. ამის საპასუხოდ სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოთქვეს სახელმწიფოს მხრიდან კრიტიკული მედიის გაჩუმების მიზნით კანონის ბოროტად გამოყენების პოტენციალის გამო. მედიის ადვოკატირების კოალიციამ გაავრცელა განცხადება მაუწყებლებთან ერთად შემუშავებული და ევროკომისიის ექსპერტების მიერ მხარდაჭერილი ალტერნატიული, თანარეგულირების მექანიზმის შესახებ, რომელიც მმართველმა პარტიამ არ განიხილა (Qartia.ge 2023).

2023 წელს დადებითი მოვლენა იყო პრეზიდენტის მიერ ტელეკომპანია „მთავარის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას შეწყობა. ის, რასაც გვარამიას ედავებოდნენ, ყოფილი სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიას განცხადებით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ შეიძლება დაქვემდებარებულიყო და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ექვემდებარებოდა კორპორაციულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას (GIP 2022). ოპოზიციური მედიასაშუალებების წამყვანი ფიგურების, მათ შორის, ტვ პირველის და ფორმულას დამფუძნებლებისა და მასთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ სასამართლო საქმეები კვლავ რჩება მედიის თავისუფლების გამონწვევად საქართველოში (ღია საზოგადოების ფონდი 2023).

საქართველოს კონსტიტუცია იცავს გამოხატვის უფლებას და შეკრების თავისუფლებას, თუმცა ზოგიერთ უმცირესობას, მათ შორის ლგბტქი+ თემს ამ უფლების განხორციელება ეზღუდება. ნინა წლების მსგავსად, სახელმწიფომ ვერც 2023 წელს უზრუნველყო მათი შეკრების თავისუფლების დაცვა და შეკრებისას ამ ჯგუფების უსაფრთხოება. 8 ივლისს თბილისი პრაიდის ფესტივალის გამოცხადების მიუხედავად, თემმა, ფესტივალის ტერიტორიაზე შემოჭრილი კონტრ-დემონსტრანტების გამო, ღონისძიების ჩატარება ვერ შეძლო. იმის მიუხედავად, რომ კონტრ-დემონსტრანტების გეგმების, მათ შორის, ძალადობრივი განზრახვების შესახებ კარგად იყო ინფორმირებული, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არეულობა არ აღკვეთა, რის გამოც იგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს. ადგილზე პოლიციის დანაყოფების ყოფნის მიუხედავად, ისინი წინააღმდეგობას არ უწევდნენ მოძალადე ჯგუფებს და არ უშლიდნენ მათ ფესტივალის ტერიტორიაზე შეღწევას (თრანსპარენცე ნტერნატიონალ 2023). მეორე მხრივ, იმის მიუხედავად, რომ დადებით მოვლენად დაფიქსირდა მთავრობისა და პარლამენტის მიერ „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ მიღება, სტრატეგია არ შეიცავს პუნქტს ლგბტქი+ უფლებების დაცვის შესახებ და, ზოგადად მათი უფლებების დაცვა გაქრა ხელისუფლების პოლიტიკური დისკურსიდან (ღია საზოგადოების ფონდი 2023).

უფრო პოზიტიურ ნოტაზე: ევროკომისიის რეკომენდაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ძირითადად, შესრულდა. განხორციელებული ქმედება მოიცავს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც კანონმდებლობის გენდერული გავლენის შეფასება სავალდებულო გახდა; სახელმწიფომ უნდა წაახალისოს ფაქტობრივი თანასწორობა ფორმალურის ნაცვლად; ძალადობის მსხვერპლს კომპენსაცია მიეცემა; სახელმწიფო სერვისების მისაღებად „მსხვერპლის სტატუსის“ ქონის მოთხოვნა გაუქმდა; პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია; საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო კვოტების სისტემა 2032 წლამდე გახანგრძლივდა (ეუროპეან ჩომისისონ 2023). ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს, სადაც ღრმად ფესვგადგმული სტერეოტიპები ხელს უშლის პროგრესს, – მიუხედავად ბოლო წლებში საზოგადოებრივი აზრის გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა, – ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი გენდერული თანასწორობის მისაღწევად. საარჩევნო კვოტების მიუხედავად, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა კვლავ დაბალია, – საკანონმდებლო ორგანოში ქალების წარმომადგენლობა მხოლოდ 19%-ია, ადგილობრივ ადმინისტრაციაში კი - 24%. საქართველოში ქალების დაახლოებით 60% არ არის ჩართული შრომის ფორმალურ ბაზარზე და გენდერული სახელფასო სხვაობა 35%-ს შეადგენს (UNDP Georgia 2023).

## საარჩევნო სისტემა

ეუთო/ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების, ასევე ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთის შესაბამისად, საქართველომ უნდა განახორციელოს საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა (European Commission 2023). 2023 წელს, ევროკავშირის 12 რეკომენდაციის საკვანძო საკითხებს შორის იყო საარჩევნო ბარიერის 5%-დან 2%-მდე შემცირება; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) შემადგენლობის



რეფორმირება და ცესკოს თავმჯდომარის დასანიშნად პარლამენტში ხმების 2/3-მდე გაზრდა; და არაერთი ცვლილება საარჩევნო კოდექსში, რათა შემცირდეს არჩევნების გაყალბებისა და კენჭისყრის დღეს ე.წ კარუსელის რისკები (ღია საზოგადოების ფონდი 2023). „ქართულმა ოცნებამ“, დაპირების მიუხედავად, გადანყვიტა, არ შეამციროს 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერი და მიზეზად პარლამენტში მარგინალური პარტიების შემოსვლის საფრთხე დაასახელა (Netgazeti.ge 2023). ცვლილებების მხარდამჭერებისთვის, დაბალი ბარიერი არის პოლარიზაციის შემცირებისა და საკანონმდებლო ორგანოში პლურალიზმის ნახალისების საშუალება (Kandelaki 2023). ვინაიდან პარტიული ბლოკები აღარ დაიშვება, 5%-იანი ბარიერი ოპოზიციურ პარტიებს 2024 წლის არჩევნებში სირთულეებს შეუქმნის.

მეორე მხრივ, პოზიტიური ცვლილებები მოიცავს ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატების დანერგვას, რომლებიც განთავსდება საარჩევნო უბნების 90%-ში, რათა დააზღვიოს რამდენიმე რისკი, მათ შორის ე.წ კარუსელი. საარჩევნო კოდექსში, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, მიღებულ იქნა სხვა დადებითი ცვლილებებიც, რაც ეხება პარტიების დაფინანსებას, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, არჩევნების ადმინისტრირებას, საჩივრებს, ხმების დათვლის წესებს, მარკირებასა და არჩევნებზე დაკვირვებას (European Commission 2023). ამავდროულად, სიაში არის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც, ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი შეფასებით, მოუწესრიგებელი დარჩა. მათ შორისაა საარჩევნო კამპანიის დროს სამსახურებრივი თანამდებობების ბოროტად გამოყენება, პარტიებისთვის ფინანსური შემოწირულობების მაღალი ბარიერი, ამომრჩევლისადმი მუქარა და ზომები ამის პრევენციისათვის, მედიაში საარჩევნო კამპანიის დახვეწა, ხმების დათვლა და ანულირება და ა.შ. (Venice Commission/ODIHR 2023).

ცესკოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებული საკითხები პრობლემად რჩება. 2023 წლის სექტემბერში მმართველი პარტიის მიერ საარჩევნო კოდექსში ინიცირებული ცვლილებების თანახმად, კანდიდატებს შეარჩევს არა პრეზიდენტი, არამედ პარლამენტის თავმჯდომარე, და პარლამენტი მათ უბრალო უმრავლესობით არჩევს, მიუხედავად იმისა, რომ ეუთოსა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, ამისათვის პარლამენტში ხმების 2/3 უნდა იყოს საჭირო. ეს ცესკოს დამოუკიდებლობის შესუსტებად და მასზე მმართველი პარტიის გავლენის გაძლიერებად მიიჩნევა (ISFED 2023).

2023 წლის 29 აპრილსა და 1 ოქტომბერს საქართველოში გაიმართა მერის რიგგარეშე და შუალედური საპარლამენტო არჩევნები, რომელთა დროსაც მოქალაქეებმა ხმა მისცეს მერობის კანდიდატებს სამ მუნიციპალიტეტში, საკრებულოს წევრებს 5 მუნიციპალიტეტში და მაჟორიტარ დეპუტატებს 5 მუნიციპალიტეტში (Civil.ge 2023). დამკვირვებლების თქმით, არჩევნები ჩატარდა მშვიდ გარემოში, საარჩევნო რეგულაციების მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე, რა დროსაც ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებამ გაამარტივა და დააჩქარა კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესი (ISFED 2023). თუმცა, კონკურენცია დაბალი იყო, რამდენიმე მუნიციპალიტეტში თანამდებობისთვის მხოლოდ ერთი, „ქართული ოცნების“ კანდიდატი იბრძოდა (იხილეთ).

## ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება

2023 წელს პოლარიზაცია დარჩა ქართული დემოკრატიის მთავარ გამოწვევად; დეპოლარიზაცია ევროკავშირის პირველი რეკომენდაციაა. ამის მიუხედავად, 2023 წელს ამ საკითხში პროგრესი არ დაფიქსირებულა და მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გამწვავდა კანონმდებლობის შემუშავების პროცესში ოპოზიციის შეზღუდული ჩართულობით (European Commission 2023), რამაც უარყოფითად იმოქმედა საპარლამენტო ზედამხედველობაზე და კიდევ უფრო გამყარდა ერთპარტიული მმართველობა.

ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც საქართველოს პარლამენტს შეუძლია ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ზედამხედველობისთვის გამოიყენოს, არის ე.წ მინისტრის საათი, რადროსაც კონკრეტული მინისტრები საკანონმდებლო ორგანოს სტუმრობენ და დეპუტატების შეკითხვებს პასუხებენ. 2023 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე პარლამენტმა ეს მექანიზმი ცხრაჯერ გამოიყენა (Parliament of Georgia 2023). ამასთან, იმავე პერიოდში დეპუტატებმა ექვსჯერ გამოიყენეს ინტერპელაციის უფლება – უფლებამოსილება, ფორმალურად დაუსვან კითხვები აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებს, – და ექვსჯერვე ოპოზიციურმა დეპუტატებმა (Parliament of Georgia 2023). თუმცა, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ან არღვევენ დროის ლიმიტებს, ან არ პასუხებენ ოპოზიციონერი დეპუტატებისგან მიღებულ შეკითხვებს. 2023 წლის მარტიდან მაისამდე, ჯამურად გაგზავნილი კითხვების 20%-ს პასუხი არ გასცემია, რაც ცხადყოფს, რომ ზედამხედველობის მექანიზმების გამოყენება დამოკიდებულია უმრავლესობის თანხმობაზე, ხოლო ოპოზიციას შეზღუდული აქვს მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა (ღია საზოგადოების ფონდი 2023).

2022 წლის მსგავსად, მმართველმა პარტიამ არაერთი ნაბიჯი გადადგა პრეზიდენტის წინააღმდეგ, რითაც კიდევ უფრო შეასუსტა პრეზიდენტის ინსტიტუტი და, შესაბამისად, ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება. პარტია „ქართულმა ოცნებამ“ იმპიჩმენტის პროცედურები წამოიწყო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ბრძოლა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სტატუსით დაიწყო, მაგრამ შემდეგ პარტიის პოლიტიკას დაშორდა და იგი ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანების გზისადმი არასაკმარის ერთგულებაში დაადანაშაულა (Reuters 2023). „ქართულმა ოცნებამ“ ზურაბიშვილი ბერლინში, ბრიუსელსა და პარიზში მთავრობის ნებართვის გარეშე ვიზიტების გამო კონსტიტუციის დარღვევაში დაადანაშაულა, როდესაც, ზურაბიშვილის თქმით, ეს ვიზიტები საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მხარდაჭერის მოპოვებას ემსახურებოდა. ზურაბიშვილს არაერთმა ევროპელმა ლიდერმა გამოუცხადა სოლიდარობა, მათ შორის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა ჯოზეფ ბორელმა (EU External Action 2023). ქართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ ანალოგიურად გააპროტესტა იმპიჩმენტის პროცედურა, და იგი საქართველოს ევროინტეგრაციისათვის პოტენციურ ზიანად შეაფასა (Transparency International 2023). მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ პრეზიდენტმა მართლაც დაარღვია კონსტიტუცია, მმართველმა პარტიამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი პარლამენტში კენჭისყრაზე 18 ოქტომბერს გაიტანა, თუმცა ხმების არასაკმარისი რაოდენობის გამო იმპიჩმენტი არ შემდგარა (Civil.

გე 2023). ამის მიუხედავად, მმართველმა პარტიამ დააფიქსირა თავისი პოზიცია პრეზიდენტის მიმართ, რამაც კიდევ უფრო გაზარდა პოლარიზაცია პრეზიდენტსა და „ქართულ ოცნებას“ შორის.

მართლმსაჯულების სისტემაში პრობლემები 2023 წელსაც გაგრძელდა. ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის ანგარიშის თანახმად, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მიზნით გადადგმული ნაბიჯები არ იყო საკმარისი დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემის ჩამოსაყალიბებლად და ძირითადად მხოლოდ ტექნიკურ პრობლემებს პასუხებდა (Venice Commission 2023). ევროკომისიისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში დასახელებული მართლმსაჯულების რეფორმის ძირითადი საკითხების უმეტესობა არ შესრულებულა (Coalition 2023). გარდა ამისა, რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში პარლამენტმა არ უზრუნველყო ფართო ჩართულობა. მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 არამოსამართლე წევრის კონსენსუსის გარეშე არჩევამ კიდევ უფრო შეარყია ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ (იგივე). „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემისთვის კოალიციის“ თანახმად, ეს გადაწყვეტილება ხელს უწყობს „კლანზე დაფუძნებულ მმართველობას“ (Transparency International 2023). გარდა ამისა, 2023 წლის აპრილში შეერთებულმა შტატებმა სანქციები დაუწესა საქართველოში სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს „მნიშვნელოვანი კორუფციის გამო“. ხელისუფლებამ კრიტიკა დაიმსახურა იმის გამო, რომ შესაბამისად არ გასცა პასუხი სანქციებს და უფრო მეტად დაიცვა მოსამართლეები (თრანსპარენცე ინტერნაციონალ 2023).

პოზიტიური მოვლენა, რომელიც 2023 წელს მოხდა, იყო 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთის შესრულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სასამართლოები პროაქტიულად განიხილავენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი კანონი, რომლის მიზანია, საქართველოს ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია უზრუნველყოს. კანონპროექტის მომზადებაში სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიციური პარტიებიც იყვნენ ჩართულნი (European Commission 2023).

კიდევ ერთი პოზიტიური ნაბიჯი იყო დამოუკიდებელი სახალხო დამცველის შესახებ რეკომენდაციის მეტწილად შესრულება (European Commission 2023). 2022 წლის შემოდგომის სესიაზე სახალხო დამცველის კონსენსუსით არჩევის წარუმატებელი მცდელობის მიუხედავად, პარლამენტმა 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე მოახერხა, სახალხო დამცველად აერჩია ოპოზიციური პარტია „მოქალაქეების“ ერთ-ერთი ლიდერი, ლევან იოსელიანი, რომლის კანდიდატურასაც ოპოზიციური პარტიების ნაწილმაც დაუჭირა მხარი. თუმცა სამოქალაქო საზოგადოება არ ყოფილა ჩართული შერჩევის პროცესში და კანდიდატი მოქმედი პოლიტიკოსი იყო (Civil.ge 2023).

უკან გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამოუკიდებელ ინსპექტორად შოთა ქადაგიძის არჩევა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ თანახმად, არჩევნები გაუმჭვირვალედ ჩატარდა. შოთა ქადაგიძე 2017-2021 წლებში უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი იყო და უაღრესად ლოიალური იყო საბჭოს გავლენიანი წევრების მიმართ. მისი დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ

იდგა და საფრთხე შეუქმნა ინსტიტუტის მიმართ ნდობას (ISFED 2023). როგორც წესი, ინსპექტორი წყვეტს, დაიწყოს თუ არა მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება და აგროვებს შესაბამის ინფორმაციას (იგივე).

2023 წლის კიდევ ერთი ცვლილება ეხებოდა საქართველოს ეროვნული ბანკს – ეროვნული ბანკის კანონში ცვლილებებმა ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას საფრთხე შეუქმნა. ცვლილებებმა კანონში შემოიღო პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს, სანამ სეზ-ის პრეზიდენტი არჩეული არ არის; თუმცა მანამდე ეროვნული ბანკის საბჭოში უკვე მუშაობდა სამი ვიცე-პრეზიდენტი, რომელთაგან ერთ-ერთსაც უნდა ეკისრა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება, სეზ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ. ეს ცვლილებები მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების დასრულებამდე ერთი თვით ადრე მოხდა. პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა კანონპროექტს ვეტო დაადო იმ ეჭვით, რომ ხელისუფლება არ იყო კმაყოფილი არსებული კანდიდატებით და საკუთარი რჩეულის წარდგენა სურდა (ჩივილ.გე 2023). თუმცა, მმართველმა პარტიამ დასძლია ვეტო და ცვლილებები მაინც მიიღო, რამაც გამოიწვია ექსპერტების კრიტიკა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოს პროგრამის შეჩერება (Intellinews 2023). ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეროვნული ბანკის პოზიციაზე აშშ-ის მიერ საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის, რუსეთში ბიზნესინტერესების მქონე ოთარ ფარცხალაძის მიმართ დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებით. ეროვნულმა ბანკმა თავდაპირველი პოზიცია შეცვალა და უარი განაცხადა აშშ-ის სანქციების რეჟიმის დაცვაზე მას შემდეგ, რაც ეროვნული ბანკის პირველ ვიცე-პრეზიდენტად და, შესაბამისად, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად 2023 წლის ზაფხულში ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ნათია თურნავა აირჩიეს. სანქციებზე გადაწყვეტილების შემდეგ ეროვნული ბანკის სამივე ვიცე-პრეზიდენტი თანამდებობიდან გადადგა (OC Media 2023).

## სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში აქტიურია და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო-ები) აქტიურად არიან ჩართულნი რეფორმების პროცესსა და მთავრობის ზედამხედველობაში (Freedom House 2023), მათ შორის ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგში, და მონაწილეობას იღებენ საპარლამენტო სამუშაო ჯგუფებში არაერთ საკითხზე. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღებაში მათ მონაწილეობას, მათ შორის, ისეთი მექანიზმების გამოყენებით, როგორცაა პეტიცია, კანონების ინიცირება და შეთავაზებულ კანონპროექტებზე კომენტარების წარდგენა, პარლამენტის კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობის მიღება და საპარლამენტო სესიებზე წვდომა. თუმცა, საკანონმდებლო ჩარჩოთი გათვალისწინებული ჩართულობის პრაქტიკაში დანერგვა და სსო-ების ჩაურთველობა ისეთი მგრძნობიარე საკითხების განხილვაში, როგორცაა სასამართლოებისა და საარჩევნო სისტემის რეფორმირება, კვლავ გამოწვევად რჩება (CSO Meter 2022). ამავდროულად, წლების განმავლობაში დაბალი რჩება საზოგადოების ნდობა არასამთავრობო სექტორის მიმართ, – საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 20%-ზე მეტი ამბობს, რომ ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს, – და ამდენივე გამოხატავს უნდობლობას (CRRC 2021). ეს დიდწილად აიხსნება არასამთავრობო



ორგანიზაციების ბუნებაში საზოგადოების წიაღიდან, მისი ქვედა დონეებიდან წამოსული, – ე.წ „გრასრუტ“ – მახასიათებლის არქონითა და მათსა და საზოგადოებას შორის არსებული უფსკრულით (EWMI 2019).

2023 წელს სამოქალაქო სექტორისა და მთავრობის ურთიერთობებს უდიდესი დარტყმა მიაყენა „უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“ წარდგენილმა კანონპროექტმა. კანონპროექტი წარადგინა „ხალხის ძალამ“, მმართველი „ქართული ოცნებისგან“ გამოყოფილმა ჯგუფმა. „ხალხის ძალა“ ითხოვდა მკაცრი საკანონმდებლო ბაზის შექმნას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ საგარეო დაფინანსების მისაღებად და ამტკიცებდა, რომ უცხოეთიდან დაფინანსება „საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტისათვის“ (CSO Meter 2022). ისინი ამტკიცებდნენ, რომ კანონპროექტი შემუშავებული იყო აშშ-ის „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ (FARA) მოდელზე, – რომელიც 1938 წელს ამოქმედდა ნაციისტური გერმანიის პროპაგანდის წინააღმდეგ (იგივე). 2023 წლის 20 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა დაარეგისტრირა კანონპროექტი, რომელსაც ოფიციალურად შემოჰქონდა „უცხოეთის გავლენის აგენტის“ იარლიყი. შესაბამისად, ნებისმიერი კერძო უწყება, რომელიც ბიუჯეტის 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებდა, უნდა დარეგისტრირებულიყო, როგორც „უცხოეთის აგენტი“ და ვალდებული იყო, ფინანსური ანგარიში წარედგინა იუსტიციის სამინისტროში. საერთაშორისო საზოგადოებაში მიიჩნია, რომ კანონპროექტი შეასუსტებდა სამოქალაქო საზოგადოებას და ძირს გამოუთხრიდა საზოგადოების ნდობას არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ (USAID 2023). მმართველმა პარტიამ, მისი მხრიდან სამოქალაქო სექტორის მიმართ უკვე არსებული ნეგატიური დისკურსის ფონზე, პირობა დადო, რომ მხარს დაუჭერდა კანონპროექტს (Civil.ge 2023). საქართველოში 350-ზე მეტმა ორგანიზაციამ დაგმო კანონპროექტი, მას უწოდა სსო-ებზე კონტროლის პოტენციური ინსტრუმენტი, – რომელიც, სავარაუდოდ, იმავე მიზნით შეიქმნა, რა მიზნითაც 2012 წლის რუსეთის მსგავსი კანონმდებლობა, – და განაცხადა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს (Transparency International 2023). ანალოგიურად, ევროკავშირმა დაგმო კანონპროექტი და მას საზიანო უწოდა საქართველოს რეპუტაციისა და ევროკავშირთან მისი ურთიერთობებისათვის (Euractiv 2023). ამ პოზიციამ, რომელიც ასევე გაჟღერდა პარლამენტში საკომიტეტო მოსმენებზე, „ქართულმა ოცნებამ“ ანგარიში არ გაუწია და კანონპროექტი საპარლამენტო პლენარულ სესიაზე პირველი მოსმენით მიიღო (ღია საზოგადოების ფონდი 2023). კანონის მიღებამ გამოიწვია ორდღიანი, მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია პარლამენტის წინ და და შეტაკებები პოლიციასთან. შედეგად, მმართველმა პარტიამ უკან გაიწვია კანონპროექტი საზოგადოებაში „დაპირისპირების შემცირების“ მიზნით (Euractiv 2023). ამავდროულად, ამ მოვლენამ ცხადყო სტრუქტურების მიერ დაწყებული მობილიზაციის წარმატება – ახალგაზრდების დაწყებული პროტესტი სწრაფად მოედო მთელ ქვეყანას (Lossi 36 2023).

ინციდენტმა უკიდურესად დააზიანა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მთავრობის ურთიერთობა და გაზარდა უნდობლობა. მთავრობასა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის ფორმატები შეჩერდა (თუმცა ზოგიერთი მათგანი მოგვიანებით აღდგა) და არაერთმა ორგანიზაციამ, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI-მ) პარლამენტის საკონსულტაციო ჯგუფში წევრობა შეაჩერა (Transparency International 2023).

დადებითი ის იყო, რომ სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის გარკვეული თანამშრომლობა შედგა, განსაკუთრებით გარემოსდაცვით ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის. ნაკლებად, მაგრამ მაინც, სსო-ების რამდენიმე რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების, კრიმინალთან ბრძოლის, ანტიკორუფციული ბიუროსა და გენდერის/მონწყვლადი ჯგუფების შესახებ მუშაობის პროცესში (ღია საზოგადოების ფონდი 2023). თუმცა, მიმდინარე ტენდენციაა, რომ მთავრობა რჩება საკმაოდ მტრულად განწყობილი კრიტიკული დამკვირვებლების მიმართ, თუმცა მთავრობა შედარებით ღიაა პოლიტიკურად ნაკლებად მგრძობიარე თემებზე თანამშრომლობისთვის (CSO Meter 2022). მაგალითად, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED), არჩევნების მთავარი სადამკვირვებლო ორგანიზაცია, გარიცხულია საარჩევნო საკითხებზე საპარლამენტო სამუშაო ჯგუფიდან (Civil.ge 2023).

მედია სამოქალაქო საზოგადოების გავლენიანი აქტორია საქართველოში. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2023 წელს საქართველოს პრესის თავისუფლების რეიტინგი 2022 წელთან შედარებით 12 ადგილით გაუმჯობესდა (89-ე ადგილიდან 77-ე ადგილამდე). მაგრამ მედია გარემოს მუდმივი პრობლემა, მისი მრავალფეროვნების მიუხედავად, უკიდურესი პოლარიზაციაა პოლიტიკურ და ბიზნეს ინტერესებთან მისი გადაჯაჭვულობის გამო (European Commission 2023). მედიასაშუალებების პარტიულ და არაობიექტურ ძალებად წარმოდგენა ასევე იწვევს მედიის მიმართ საზოგადოების ნდობის ნაკლებობას. CRRC-ის კვლევის მიხედვით, საქართველოს მხოლოდ ყოველი მეშვიდე მოქალაქე ენდობა მედიას და ბოლო წლების განმავლობაში ნდობის კლების ტენდენცია შეიმჩნევა (CRRC 2021).

2023 წელს, წინა წლის მსგავსად, არალიბერალური, ულტრამემარჯვენე ჯგუფები კვლავ ხილვადები იყვნენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე ნაციონალისტური, ჰომოფობიური, ანტიდასავლური და პრორუსული რიტორიკითა და აქტივობებით (Civil.ge 2023), მათ შორის ლგბტქ პრაიდ-ფესტივალზე თავდასხმით (Civil.ge 2023). მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ თავადაც გაზარდა კონსერვატიული რიტორიკა და „ტრადიციულ ღირებულებებსა“ და „ეკლესიის სინმინდეს“ იყენებდა ოპონენტებზე თავდასხმისათვის (Civil.ge 2023). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ერთ-ერთი ყველაზე მეტი ნდობით აღჭურვილი ინსტიტუტი საქართველოში (IRI 2023), ასევე ანტილიბერალურ მხარეს იკავებს და მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი ოფიციალურად უჭერს მხარს ევროკავშირში ინტეგრაციას (Agenda.ge 2023), მისი ზოგიერთი წევრი ღიად გამოხატავს ანტიდასავლურ პოზიციას (Radio Liberty 2023). ეკლესიამ ასევე მხარი დაუჭირა წლის დასაწყისში შემოთავაზებულ ე.წ. უცხოეთის აგენტების კანონს (იგივე).

## **შეჯამება**

დემოკრატიული მმართველობის სფეროში საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები, 2022 წლის მსგავსად, 2023 წელსაც იყო სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და, პოლიტიკური პოლარიზაციისა და ერთპარტიული მმართველობის ფონზე, სამოქალაქო საზოგადოებაზე თავდასხმები და მისი დემონიზაცია პოლიტიკური აქტორების მხრიდან. ყველაზე დაბალი ქულა, წინა წლის მსგავსად, კვლავ სასამართლოს დამოუკიდებ-

ბლობასა და ეფექტურობას მიენიჭა. გარდა ამისა, 2023 წელს დაფიქსირდა დამატებითი გამონვევა კონტროლისა და ბალანსის სისტემისთვის, – მმართველი პარტიის მცდელობა, დაესუსტებინა პრეზიდენტის ინსტიტუტი და ეროვნული ბანკი.

დადებითი ის იყო, რომ საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რაც ერთ-ერთ მთავარ მიღწევად დასახელდა GGI-ს ექსპერტთა გამოკითხვაშიც. თუმცა, ამა-ვდროულად, ევროკავშირის მიმართ უარყოფითი რიტორიკა ექსპერტებმა ასევე დაასახელეს მნიშვნელოვან გამონვევად, ხოლო 9 ძირითადი მიზანი – დეპოლარიზაცია, საარჩევნო და ინსტიტუციური რეფორმა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, ანტიკორუფციული ზომები, დეოლიგარქიზაცია, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, დამოუკიდებელი მედია, მონყვლადი ჯგუფების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, რომლებიც ევროკომისიის 12 რეკომენდაციას შორის იყო – კვლავ მეტწილად შეუსრულებელი რჩება. მეორე მხრივ, 2023 წელს დაფიქსირდა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის, – კერძოდ, გენდერული თანასწორობის – და საარჩევნო კოდექსის კუთხით. უცხოელი აგენტების კანონის წინააღმდეგ სამოქალაქო მობილიზაცია, გამოკითხული ექსპერტების აზრით, კიდევ ერთი დადებითი მოვლენა იყო, რამაც გამოკითხვაში სამოქალაქო საზოგადოების ქულების ზრდა გამოიწვია. გარდა ამისა, პრეზიდენტის ინსტიტუტის დამოუკიდებლობის ზრდა დასახელდა კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად, რომელიც დადებითად მოქმედებს ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულების ქულაზე.

GGI-ის ექსპერტთა გამოკითხვაში, ყველაზე საჭირო რეფორმების ჩამონათვალში, 2022 წლის ანალოგიურად, დასახელდა სასამართლო და საარჩევნო სექტორში გასატარებელი რეფორმები. დეპოლარიზაცია ანალოგიურად რჩება მთავარ ამოცანად, განსაკუთრებით 2024 საარჩევნო წლის კონტექსტში. ქართულ საზოგადოებაში სხვა აუცილებელ ცვლილებებზე დასახელდა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ზოგადად, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.



ეფექტიანი მმართველობა




## ძირითადი მიზნებზე და მთავარი გამოწვევები

- **2023 წელსაც, ეფექტიანი მმართველობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ოკუპირებულ რეგიონებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ლეგიტიმურ ძალაუფლებაზე სახელმწიფოს შეზღუდული მონოპოლიაა.** 2023 წლის ბოლოს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმიმ სასტიკად მოკლა საქართველოს ორი მოქალაქე. ამ ფაქტის მიუხედავად, 2023 წელს საქართველოს მთავრობას არ გამოუყენებია მის ხელთ არსებული მექანიზმი, „ოთხოზირია – ტატუნაშვილის სია“ იმისათვის, რომ საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობით ქმედითი ნაბიჯები გადაედგა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა უკანონო ქმედებების წინააღმდეგ. 2023 წელს აშშ-მ საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს სანქციები დაუწესა სავარაუდოდ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის გამო, რაც ჩრდილს აყენებს მმართველობის სტრუქტურების მედეგობას გარე რისკებთან მიმართებით.
- **არაფორმალური მმართველობა და ლეგიტიმაციის ალტერნატიული ფორმების არსებობა** 2023 წელსაც ქვეყნის ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 2023 წლის დეკემბერში ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, ევროკომისიის გაფართოების შესახებ ანგარიშში კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოებისთვის დეოლოგარქიზაციის მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას სასამართლო ხელისუფლების და ინსტიტუტების გაძლიერების გზით. ამ მხრივ, პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს წლის მიწურულს ბიძინა ივანიშვილის პარტიულ პოლიტიკაში დაბრუნება.
- მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება **პოლიტიკური კორუფცია**. 2023 წელს დაფიქსირდა უპრეცედენტო შემთხვევა ქვეყანაში პოლიტიკური კორუფციისათვის საგარეო რეაგირების მხრივ – აშშ-მ კორუფციისთვის სანქციები დაუწესა საქართველოს სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს.
- **სხვა კომპონენტებთან შედარებით, საჯარო ადმინისტრირება მთავრობის ეფექტიანობისთვის ყველაზე წარმატებული მიმართულებაა.** ორწლიანი ჩავარდნის შემდეგ, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს „საჯარო ადმინისტრირების რეფორმის სტრატეგია 2023-2026“ რაც არის საბაზისო დოკუმენტი, რის სამოქმედო გეგმების მონიტორინგზე დაყრდნობითაც რეფორმის უკეთ შეფასება შესაძლებელი. მიუხედავად საჯარო სერვისების ეტაპობრივად გაციფრულები-სა, სტრატეგიული დაგეგმარებისას სერვისის მიწოდებისა და დიზაინის კუთხით ხარვეზები კვლავ გამოსასწორებელია. პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით მთავარ გამოწვევას სამინისტროებში და ცენტრალურ ხელისუფლებაში მონიტორინგის სისტემის ამოქმედების და მისი იმპლემენტაციის სისუსტე წარმოადგენს. ასევე გამოწვევად რჩება საჯარო სამსახურის პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებისა და პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით თანამშრომლების აყვანის საფრთხე.



ექსპერტთა გამოკითხვის მიხედვით, მთავრობის ეფექტიანობის კომპონენტს 33.26 ქულა მიენიჭა, რაც მას საგარეო მმართველობის შემდეგ რიგით მეორე პრობლემატურ სფეროდ აქცევს 2023 წლის საქართველოს მთავრობის ინდექსში. ეფექტიანი მმართველობის ქვე-კომპონენტების შეფასებების მიხედვით, ლეგიტიმური ძალაუფლების ქვე-კატეგორიამ ყველაზე დაბალი ქულა (19.79) მიიღო. ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებული კრიტიკა, შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს ორი მოქალაქის მკვლელობით. ლეგიტიმური ძალაუფლების შემდეგ ყველაზე დაბალი ქულა (30.21) მიენიჭა არაფორმალური მმართველობის კატეგორიას, რაც ლოგიკური ჩანს ევროკომისიის მიერ ამ ფენომენის, როგორც პრობლემის, იდენტიფიცირებისა და მისი პოლიტიკურ დღის წესრიგში წამოწევის შემდეგ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კატეგორიაში, ბიუროკრატიული კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა ბევრად პოზიტიურად შეფასდა ექსპერტების მიერ, ვიდრე პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები. საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით დადებითად შეფასდა საჯარო სერვისების მიწოდება (56 ქულა).

დიაგრამა 8: როგორ შეაფასებდით საქართველოს საქმიანობას ეფექტიან მმართველობასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებში 2023 წელს? (აგრეგირებულ და სტანდარტიზებულ 100-ქულიან სკალაზე).





## ქალაუფლებაზე მონოპოლია

ოკუპირებული ტერიტორიები 2023 წელსაც ლეგიტიმურ ქალაუფლებაზე სახელმწიფოს მონოპოლიის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის არ არსებობა ასევე აღინიშნა ევროკომისიის მიერ ევროკავშირის გაფართოების ყოველწლიურ ანგარიშშიც, რომელშიც საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესია შეფასებული (European Commission 2023). როგორც გასულ წლებში, 2023 წელსაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ძალის“ რუსული საოკუპაციო რეჟიმის მიერ ადგილი ჰქონდა სასაზღვრო ზოლიდან საქართველოს მოქალაქეების დაკავებას/გატაცებას (Ssg.gov.ge 2023ა). გასული წლების მსგავსად, 2023 წელსაც საქართველოს მოქალაქეების რუსული საოკუპაციო რეჟიმის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება უკავშირდება არსებული თანამშრომლობის მექანიზმების ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორების მედიაციას (Ssg.gov.ge 2023ბ, Ssg.gov.ge 2023გ, Ssg.gov.ge 2023დ, Ssg.gov.ge 2023ე, Ssg.gov.ge 2023ვ). საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობას უკავშირდება, აგრეთვე, აფხაზეთის ომის დროს მოკლული ქართველი სამხედროების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვენებაც (Ssg.gov.ge 2023ზ). 2023 წელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ გაგრძელდა სასაზღვრო ხაზის თვითნებური ცვლილება ე.წ. უკანონო ბორდერიზაცია. ამ მხრივ, აღსანიშნავია ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კარის აჭედვა და საქართველოს მოქალაქეებისთვის ეკლესიაში სალოცავად შესვლის სრული შეზღუდვა რუსული საოკუპაციო რეჟიმის მიერ (Publika.ge. 2023). აღნიშნულს უკავშირდება სახელმწიფოს მიერ ლეგიტიმურ ქალაუფლებაზე მონოპოლიის თვალსაზრისით, 2023 წლის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფაქტი, საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე, სოფ. კირბალში, მოქ. თამაზ გინტურის მკვლელობა რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (FSB) მესაზღვრეების მიერ (Civil.ge 2023ა). საოკუპაციო ძალების მიერ მოქ. გინტურის მკვლელობა არ ყოფილა მხოლოდ ერთადერთი ტრაგედია 2023 წელს. 2023 წლის დეკემბერში ვიტალი (თემურ) კარბაია ოკუპირებული გალის ბაზართან ე.წ. „აფხაზური მილიციის“ დაჯგუფების წევრებმა, სასტიკად სცემეს. ვიტალი კარბაია ცემისგან მიღებული დაზიანებების გამო მეორე დღეს სოხუმის საავადმყოფოში დაიღუპა ( Amerikiskhma.com 2023ა).

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მთავრობა ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, 2023 წელს მთავრობამ ოპონენტების მხრიდან კრიტიკა დაიმსახურა საქართველოს მოქალაქეების მკვლელობაზე არასაკმარისი რეაგირების გამო (რადიო თავისუფლება 2023ა, რადიო თავისუფლება 2023ბ). გინტურის მკვლელობის პასუხად, ევროპარლამენტმა რეზოლუცია შეიმუშავა, რომლითაც ხაზი გაუსვა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულზე პასუხი უნდა აგონ და მართლმსაჯულებას გადაეცნენ გინტურის მკვლელობასა და მისი თანმხლები პირის გატაცებაზე პასუხისმგებელი პირები (რადიო თავისუფლება 2023ა). საქართველოს საპარლამენტო ოპოზიციამ ასევე დააინიცირა რეზოლუცია და მოუწოდა მთავრობას, თამაზ გინტურის მკვლელები „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეეყვანათ და 2018 წელს მიღებული ეს სია რეალურად ამოქმედებინათ, თუმცა, ხელისუფლებამ ოპოზიციის მოთხოვნა რეაგირების გარეშე დატოვა (რადიო თავისუფლება 2023ა). „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, მმართველი პარტია პრინციპულად მხარს არ დაუჭერს ოპოზიციის ინიციატივებს საგარეო პოლიტიკასთან და ოკუპაციასთან დაკავშირებით (Itv.

გე 2023ა). ოპოზიციური პარტიებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით კი, ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთთან, როგორც იკვეთება, ერთგვარი დაშოშმინების პოლიტიკაა (Amerikiskhma.com 2023ა).

2023 წელს ლეგიტიმურ ძალაუფლებაზე მონოპოლიის მხრივ, იქ სადაც სახელმწიფო ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა: უცხო ქვეყნის ჩარევა, კრიმინალთან ბრძოლა და ანტიტერორისტული ოპერაციები, და კრიზისების მართვა. 2023 წელს აშშ-მ საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს სანქციები დაუწესა რუსეთის FBS-თან თანამშრომლობის გამო (პირველი არხი 2023). ოპოზიციური პარტიების შეფასებით, ეს ფაქტი ხაზს უსვამს ლეგიტიმურ ძალაუფლებაში უცხო ქვეყნის ჩარევის მცდელობას (პირველი არხი 2023).

ორგანიზებულ კრიმინალთან ბრძოლისა და ანტიტერორისტული ოპერაციების თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობამ 2023 წელს რამდენიმე ოპერაცია განახორციელა, რომლის დროსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, დააკავეს „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლები, აღკვეთეს „ისლამური სახელმწიფოს“ აქტივობები სხვადასხვა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე და რადიოაქტიური ნივთიერებების რეალიზაცია (Ssg.gov.ge 2023თ, Ssg.gov.ge 2023ი). ევროკავშირის გაფართოების ყოველწლიურ ანგარიშშიც ძირითადად დადებითადაა შეფასებული საქართველოს მიერ განეული პრაქტიკული ძალისხმევა, ასევე მთავრობის სამოქმედო გეგმა ორგანიზებული კრიმინალისა და ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით. თუმცა, გაფართოების შესახებ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მეტი ძალისხმევაა საჭირო სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციისა და ეფექტურობისთვის ფულის გათეთრებისა და ფინანსური დანაშაულის მიმართულებით. აღნიშნულს მიემართება ევროკომისიის მეექვსე პრიორიტეტი, რომლის შესრულებაც საქართველოს ვალდებულებაა განეგრების პროცედურების დასაწყებად (European Commission 2023).

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავდა დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანიც იყო ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა (Ssg.gov.ge. 2023კ). იქიდან გამომდინარე, რომ ე.წ. დესტრუქციული პროცესების თარიღად სუს-ი ასახელებდა ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდს, როდესაც უნდა გამოქვეყნებულიყო ევროკომისიის შუალედური და ევროკავშირის საბოლოო დასკვნა, სამოქალაქო საზოგადოებაში შეიქმნა ლეგიტიმური ეჭვის საფუძველი, რომ საზოგადოებრივი ნესრიგის შენარჩუნების საბაბით, მთავრობა საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა იმ სახალხო დემონსტრაციების წინააღმდეგ, რომელიც სავარაუდოდ მოჰყვებოდა ევროკომისიის უარყოფით დასკვნას საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი სტატუსის მინიჭების თაობაზე (Civil.ge 2023ბ).

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ინტერესების დაცვის საბაბით, ასევე დასავლური პარტნიორების და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ განცხადებად შეფასდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან US-AID-ის პროგრამის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ღია დადანაშაულებ-

ბა საქართველოში რეკოლუციური პროცესების და ძალადობრივი საპროტესტო აქციების წახალისებაში (Ssg.gov.ge 2023ლ, Netgazeti.ge 2023ა, Netgazeti.ge 2023ბ).

ამავდროულად, 2023 წელს კვლავ გამოწვევად დარჩა ე.წ. ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან განხორციელებული ძალადობა ლგბტ საზოგადოებასა და მის მხარდამჭერებზე, ასევე, როგორც ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებზე. მიუხედავად იმის, რომ თბილისი პრაიდმა „პრაიდ ფესტივალი“ თბილისის ცენტრისგან მოშორებულ ტერიტორიაზე გამართა, ე.წ. ულტრამემარჯვენე დაჯგუფება შეკრებილ საზოგადოებას თავს დაესხა და ინვენტარი დააზიანა (რადიო თავისუფლება 2023დ) (იხ. დემოკრატიული მმართველობის ქვეთავი გვ.). ასევე, ე.წ. ულტრამემარჯვენეები თავს დაესხნენ გირჩი-მეტი თავისუფლების ლიდერს, ზურა ჯაფარიძეს და „გირჩი-მეტი თავისუფლების“ ახალგაზრდულ ბანაკს და ფიზიკური დაზიანება მიაყენეს მათ (რადიო თავისუფლება 2023ე). ორივე შემთხვევაში თვითმხილველებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, პოლიციის რეაგირება იყო არასაკმარისი და არაეფექტიანი (რადიო თავისუფლება 2023ე).

კრიზისების მართვის თვალსაზრისით, 2023 წელს საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა. 2023 წლის აგვისტოს რაჭაში, კურორტ შოკში მენყერი ჩამონვა რომლის შედეგადაც 33 ადამიანი დაიღუპა (რადიო თავისუფლება 2023ზ). თვითმხილველების განცხადებით სამაშველო ვერტმფრენებმა მნიშვნელოვნად დაიგვიანა ადგილზე (რადიო თავისუფლება 2023ზ). საპარლამენტო ოპოზიციის თავდაპირველი ინიციატივის მიუხედავად, შოვის ტრაგედიის შესასწავლად და პასუხისმგებელი პირების გამოსაკვეთად საგამოძიებო კომისია პარლამენტში არ შემდგარა (Bm.ge 2023ა).

## **არაფორმალური მმართველობა და ლეგიტიმაციის ალტერნატიული ფორმა**

მთავრობის ეფექტიანობის თვალსაზრისით არაფორმალური მმართველობა და ლეგიტიმაციის ალტერნატიული ფორმების არსებობა 2023 წელს საქართველოს კვლავ მთავარი გამოწვევაა. ამ მხრივ, 2022 წელთან შედარებით ქვეყანაში ფუნდამენტური ცვლილება არ მომხდარა და 2023 წელსაც არაფორმალური მმართველობა კვლავ უკავშირდება მმართველი პარტიის დამფუძნებელს, ბიძინა ივანიშვილს, რომლის ნდობით ალჭურვილი პირები მართავენ ქვეყანას. შესაბამისად, 2023 წელს, არაფორმალური მმართველობისა და ლეგიტიმაციის ალტერნატიული ფორმების აღმოფხვრის შესახებ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენდა ფაქტობრივ გაგრძელებას იმ დისკუსიის, რომელსაც სათავე 2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული რეკომენდაციებმა დაუდო, სადაც ევროკომისია ევროკავშირთან დაახლოების პროცესის წარმატებისთვის ქვეყნის ხელისუფლებიდან ითხოვდა დეოლიგარქიზაციას და ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში კერძო გავლენების აღმოფხვრისთვის გადადგმულ ქმედით ნაბიჯებს (European Commission 2022).

რიტორიკის თვალსაზრისით, მმართველი პარტიის პოზიცია 2023 წელსაც მიმართული იყო ბიძინა ივანიშვილის დაცვისკენ. მათი განცხადებებით, ივანიშვილს არ ჰქონდა მმართველობასთან კავშირი (Itv.ge. 2023ბ) და მისი კრედიტ სუისთან დაკავშირებულ ფინანსურ

დავას დასავლეთის მიერ ივანიშვილის დასაქცივრებად წარმოაჩენდა (Bm.ge 2023ბ). თავის მხრივ, ოპოზიციის დიდი ნაწილის პოზიციით, დეოლიგარქიზაციის დაწყება მხოლოდ მთავრობის ცვლილების შედეგად შეიძლება მომხდარიყო (Kavkasiatv.ge 2023, Itv.ge 2023გ, Cnews.ge 2023).

საკანონმდებლო დონეზე, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც თანხვედრაში იყო მმართველი პარტიის რიტორიკასთან ივანიშვილის პოზიციების დაცვის თვალსაზრისით. 2022 წელს, მმართველმა პარტიამ დააინიცირა უკრაინის „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის ქართული ანალოგი, რომელიც კანონით განსაზღვრულ „ოლიგარქის“ კრიტერიუმებში აქცევდა პოლიტიკურ ოპონენტებს და კანონის მიღმა ტოვებდა ბიძინა ივანიშვილს, სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ ის ოფიციალურად არ იკავებდა არც ერთ თანამდებობას (GIP 2022). 13 მარტს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა პირველადი დასკვნა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტზე „დეოლიგარქიზაციის შესახებ“, სადაც იყო აღნიშნული, რომ არსებული ფორმით კანონი ეფუძნება „პერსონალურ მიდგომას“, რომელიც განსაკუთრებულ ინსტიტუციურ და უფლებრივ გარანტიებს საჭიროებდა, რადგან ის შეიცავდა არათანასწორი აღსრულების რისკებს და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გამოყენების შესაძლებლობას. კომისიამ გამოხატა მხარდაჭერა „სისტემური“ მიდგომის მიმართ და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა გაეტარებინა სისტემური რეფორმები სხვადასხვა სფეროში (Venice Commission 2023ა). კომისიამ ასევე უარყოფითად შეაფასა შესწორებული კანონპროექტი 2023 წლის 12 ივნისს გამოქვეყნებული საბოლოო დასკვნითაც, რომელშიც კვლავ უპირატესობა მიანიჭა დეოლიგარქიზაციის გადაწყვეტის სისტემურ მიდგომას (Venice Commission 2023ბ). ვენეციის კომისიის მიერ 12 ივნისს გამოქვეყნებული უარყოფითი მოსაზრების მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა 13 ივნისს „დე-ოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით მიიღო (Interpresnews.ge 2023). ევროკავშირის წარმომადგენლობამ ასევე გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ იზიარებს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს [...] და მზად არის მხარი დაუჭიროს საქართველოს ხელისუფლებას უკეთესი გამოსავლის პოვნაში სისტემური მიდგომის გამოყენებით (EU in Georgia 2023). 9 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტი ჩააგდეს. იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის, ანრი ოხანაშვილის განცხადებით, მმართველი პარტია შეთანხმდა პარტნიორებთან, რომ კანონის გზით შესაძლებელია ეს საკითხი არ დარეგულირდეს და მთავრობის მეშვეობით ახლო პერიოდში დამტკიცდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე კონსულტაციის შედეგად იქნება დამტკიცებული; შესაბამისად ეს იყო მხოლოდ ფორმალური წარმოდგენა, რათა კანონპროექტი დამდგარიყო კენჭისყრაზე“ (Tabula ge 2023, Civil ge 2023გ).

მოგვიანებით მთავრობამ დაამტკიცა დეოლიგარქიზაციის შესახებ გეგმა დოკუმენტი (Civil ge 2023დ), რომელიც ვენეციის კომისიამ არ განიხილა იმ არგუმენტით, რომ ეს არ იყო სამართლებრივი დოკუმენტი (Itv.ge 2023დ). 8 დეკემბერს ევროკომისიის გაფართოების შესახებ ანგარიშში მეხუთე პრიორიტეტით საქართველოს დაევალა დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავების გაგრძელება რომელიც იმეორებს ვენეციის კომისიის დასკვნებს და მოითხოვს სისტემური მიდგომის დანერგვას ინსტიტუტების გაძლიერების გზით (European Commission 2023).



2023 წლის 30 დეკემბერს, ბიძინა ივანიშვილი ქართული ოცნების მე-7 ყრილობაზე პარტიის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს (Civil.ge 2023ე). ივანიშვილის განმარტებით, ის „სიმძიმის ცენტრის მისიის“ შესრულებას გეგმავს და გუნდის ცდუნებებისგან, მათ შორის - კორუფციული ცდუნებისგან დაცვას აპირებს (GD.ge 2023). ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ივანიშვილმა აღიარა, რომ ის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც „რჩევებს აძლევდა“ საკვანძო საკითხებზე მმართველ ელიტას (GD.ge 2023). აღნიშნული ასევე, დაადასტურა საქართველოს პრემიერ მინისტრმა (Itv.ge 2023ე).

## კორუფციის კონტროლი

კორუფციის კონტროლის თვალსაზრისით, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით ქვეყანაში 2023 წელსაც მთავარი პრობლემა მაღალი დონის, პოლიტიკური კორუფციაა (TI.ge 2023ა, European Commission 2023). საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს განცხადებით, ქვეყანაში ბიუროკრატიული კორუფცია ძირითადად აღმოფხვრილია, თუმცა, მაღალი დონის სავარაუდო კორუფციის გამოძიება პრობლემატურია დამოუკიდებელი ინსტიტუტების არ არსებობის გამო (TI.ge 2023ბ).

2023 წლის მაისში საქართველომ შეასრულა GRECO-ს რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა იმ პირთა სიის გაფართოებას, რომლებსაც ეკისრებოდათ ვალდებულება შეევსოთ ქონებრივი დეკლარაცია (European Commission 2023), თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მონაცემების მიხედვით, 2023 წელსაც მაღალჩინოსნების მხრიდან დეკლარაციებში რეალური შემოსავლის დამალვა და სახელმწიფო შესყიდვებით ბოროტად სარგებლობა ჩვეულებრივ პრაქტიკად გაგრძელდა (TI.ge 2023გ). 2023 წელი მაღალი დონის კორუფციის მხრივ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენითაც გახდა დასამახსოვრებელი. 2023 წლის აპრილში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს, მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შენგელიას და ვალერიან ცერცვაძეს სანქციები დაუწესა (USembassy.gov 2023). სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის განცხადებით, მათ გაუუქმდათ მოქმედი ვიზები „მნიშვნელოვანი კორუფციული საქმიანობის“ გამო (USembassy.gov 2023). ბოლო პერიოდში, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პარტნიორმა სახელმწიფომ საქართველოს მაღალჩინოსნები დაასანქცირა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ლარიბაშვილმა დასანქცირებულ მოსამართლეებს მხარდაჭერა გამოუცხადა და მათ უწოდა „მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი მოსამართლეები“, ხოლო ქართულ სასამართლო სისტემას „სამაგალითო“ და „კორუფციისგან თავისუფალი“ (Civil.ge 2023ე). ამავდროულად, პრემიერ-მინისტრმა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის გადანყვეტილება შეაფასა, როგორც „სუვერენული ქვეყნის სუვერენულ სასამართლოში ჩარევა“ (Civil.ge 2023ე).

2023 წელს, მაღალი დონის კორუფციის სავარაუდო შემთხვევა დაკავშირებული იყო, საქართველოს პრემიერ-მინისტრ, ირაკლი ლარიბაშვილთან. ჟურნალისტური გამოძიების მიერ გამოქვეყნდა მასალა, რომლის მიხედვითაც პრემიერ-მინისტრმა სამთავრობო თვითმფრინავი პირადი ვიზიტისთვის გამოიყენა. აღნიშნული, დაადასტურა პრემიერ-მინისტრმა, თუმცა მისი აღნიშვნით კერძო თვითმფრინავის გამოყენების ხარჯები მისმა ოჯახმა უზრუნველყო (Itv.ge 2023ვ). არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნის მიუხედავად,

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის სავარაუდო ფაქტზე გამოიძიება არ დაწყებულა (TI.ge 2023დ).

2023 წლის დეკემბერში, ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა რეკომენდაციები საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ კანონის თაობაზე, რომელშიც აღინიშნა, რომ არსებული ინსტიტუციური სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფდა ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის საკმარის ხარისხს; ამ მხრივ, განსაკუთრებულად პრობლემურად იქნა მიჩნეული ანტიკორუფციული სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნისა და მისი გადაყენების პრემიერ-მინისტრისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. კომისიის მოსაზრებით, სხვადასხვა პრევენციული ანტიკორუფციული ფუნქციების ბიუროში გაერთიანება არ შეესაბამება გაცხადებულ მიზანს, რომელიც მაღალ დონეზე კორუფციასთან ბრძოლას გულისხმობს და სააგენტოს დამოუკიდებლობისთვის დასახელებულია სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა (Venice Commission 2023გ).

ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან იყო თანხვედრაში ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის დასახელებული მეოთხე პრიორიტეტიც, რომელსაც გაფართოების შესახებ ანგარიში მოიცავდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლისთვის, განსაკუთრებით კი მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ კანონი უნდა შეესაბამებოდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი დამოუკიდებლობა (European Commission 2023). ამავდროულად, ევროკომისიამ ითხოვა, საქართველო დაუბრუნდეს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის OECD-ის ანტიკორუფციული მონიტორინგის ქსელის ფორმატში(OECD/CAN) თანამშრომლობას და შეასრულოს ქსელის წინა რაუნდის რეკომენდაციები (European Commission 2023). ევროკომისიამ, ასევე მოუწოდა საქართველოს მთავრობას, შეემუშავებინა ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2020 წლის შემდეგ არ განახლებულა (European Commission 2023).

## საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობა

2023 წელს, სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების დონეზე გარკვეული წინსვლები იყო საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მიმართულებით. პირველი საჯარო ადმინისტრირების რეფორმის (PAR) სტრატეგიის განხორციელების შედეგებისა და გამოწვევების განხილვის შემდეგ შემუშავდა „საჯარო ადმინისტრირების რეფორმის სტრატეგია 2023-2026 წლებისთვის“ (საქართველოს მთავრობა 2023) და მისი პირველი „სამოქმედო გეგმა 2023-2024წ,“ რაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა 2023 წელს (Matsne 2023). საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმა ხუთ ძირითად მიმართულებას ფარავს, შესაბამისად ანგარიშში მიმოხილულია, თუ რა პროგრესია თითოეულის ქრილში.

PAR-ის სტრატეგიის პირველი საკითხი პოლიტიკის დაგეგმვას და კოორდინაციას მოიცავს. ეს თავისმხრივ გულისხმობს შედეგზე ორიენტირებული ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების ჩამოყალიბებას უფრო ეფექტიანი მართვისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობისთვის (2023-26). ევროკავშირის



ანგარიშში კრიტიკის სახით აღნიშნულია რომ ჯერ კიდევ გამოსასწორებელია სიტუაცია სამინისტროებში და ცენტრალურ ხელისუფლებაში მონიტორინგის სისტემის ამოქმედების და მისი იმპლემენტაციის გაძლიერების კუთხით (European Commission 2023). პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ პოლიტიკის დოკუმენტებში მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში საჯარო კონსულტაციების გამართვა სავალდებულო გახდა (UNDP 2023).

სტრატეგიის მეორე მიმართულებას წარმოადგენს საჯარო სერვისები და ადამიანური რესურსების მართვა. ეს მიმართულება ცდილობს ჩამოაყალიბოს ეფექტური და გამარტივებული საჯარო სამსახურის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია დამსახურებაზე დაფუძნებულ პრინციპებზე. ჯერჯერობით გამოწვევას წარმოადგენს საჯარო სამსახურის პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზების რისკი, გამომდინარე იქიდან რომ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას მინისტრი იღებს და არ არსებობს ე.წ. „უფროსი საჯარო მოხელის“ პოზიცია, ვინც ამ ფუნქციებს შეითავსებდა. ადამიანური რესურსების მართვის და შეფასების მიმართულებით პი ემ სი კვლევითი ცენტრის მიერ 2023 წელს ჩატარებულ კვლევაში გამოვლინდა საჯარო სამსახურში მოხელეთა შეფასების სისტემის დახვეწის და მისი პრაქტიკაში გამოყენების კონტროლის აუცილებლობა. ამის მიზანი საჯარო სამსახურის შიგნით ახალ კომპეტენციებზე გაჩენილი საჭიროებების დაკმაყოფილებაა (ხიშტოვანი, ბერიანიძე 2023).

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს დასრულდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გენდერული ზეგავლენის შეფასება (ბაბიჩი, კეშელავა 2023). კვლევა აჩვენებს, რომ საჯარო დაწესებულებაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ქალების მხოლოდ 9%-ია დასაქმებული. ამავდროულად, დოკუმენტში გამოვლენილია, რომ დემოკრატიული მმართველობის და ინკლუზიური განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების დაბალი წარმომადგენლობა განაპირობებს (ბაბიჩი, კეშელავა 2023). პრობლემის გადასაჭრელად საჯარო სამსახურის ბიუროს მიმართულებით გაიცა რეკომენდაცია რომ კონკრეტულმა საჯარო მოსამსახურეებმა გაიარონ ტრენინგი კანდიდატთა სამსახურში აყვანის პროცესში გენდერულად მგრძობიარე გასაუბრებების ჩასატარებლად.

საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მესამე მნიშვნელოვანი მიმართულება ანგარიშვალდებულებაა, რაც საჯარო სამსახურის გამჭვირვალობას და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მოიცავს. IDFI-ის 2023 წლის ივნისის ანგარიში მოწმობს, რომ ამ მხრივ სიტუაცია პირიქით გაუარესებულია. პრობლემის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ IDFI-ის მაგალითი, როდესაც მათ 2023 წლის 5 თვეში სამინისტროებსა და მის დაქვემდებარებულ უწყებებში გაგზავნეს 1,255 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა და პასუხი მიიღეს მხოლოდ 94 განცხადებაზე (IDFI 2023). გარდა ამისა, მდუნედ მიმდინარეობს რეაგირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებზე, რომელთა 30% მიემართება ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ ხარვეზებს (SAO 2023).

PAR-ის მეოთხე მიმართულება საჯარო სერვისების მიწოდებას შეეხება, რა მიმართულებითაც პოზიტიური ძვრებია, განსაკუთრებით სერვისების გაციფრულების თვალსაზრისით.

კერძოდ, შეიქმნა მომსახურების მიწოდების ინოვაციური მექანიზმი, მობილური იუსტიციის სახლი საჯარო სერვისების მიწოდების გამარტივების მიზნით (იუსტიციის სახლი 2021). ამ სერვისის გამოყენების არეალიც ნელ-ნელა ფართოვდება და მასში ამჟამად 470 სერვისია ხელმისაწვდომი. 2023 წლის სექტემბრის მონაცემებით, ამ სერვისით ჯამში ისარგებლა 60 სოფლის 42000-ზე მეტმა მაცხოვრებელმა (UNDP 2023). თუმცა არსებობს გარკვეული ხარვეზები სტრატეგიული დოკუმენტებში სერვისების დიზაინის და უშუალოდ მიწოდების კუთხით (European Commission 2023).

რეფორმის კიდევ ერთი და არა საბოლოო განუყოფელი ნაწილია საჯარო ფინანსების მართვა. ამ მიმართულებით შეიქმნა 2023-26 წლების სტრატეგია (PFMRS) და 2023 წლის სამოქმედო გეგმა (MOF 2023). სტრატეგიის მიზანია ფისკალური პოლიტიკის სანარმოებლად სათანადო მართვის გარემოს შექმნა. ახალი სტრატეგია ფოკუსირებულია საჯარო აქტივების მართვაზე, შემოსავლების დავალიანების მონიტორინგზე, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე, ისევე როგორც გენდერული ბიუჯეტირებაზე. გარდა ამისა, 2023 წლის თებერვალში მიღებულ იქნა სახელმწიფო ვალის მართვის 2023-2026 წლების სტრატეგია (MOF 2023).

საერთო ჯამში, ეფექტიანი მმართველობის შეფასების სხვადასხვა საერთაშორისო, თუ ადგილობრივი ორგანიზაციების შედეგები, სამთავრობო ანგარიშები და ექსპერტთა შეფასებები ერთმანეთთან მეტნაკლებად თანხვედრაშია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ GGI-ის 2023 წლის ექსპერტთა გამოკითხვის შედეგებში ეფექტიანი მმართველობის სხვადასხვა სფეროებიდან საჯარო ადმინისტრირებას ყველაზე მაღალი, 49 ქულა მიენიჭა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის წარმატება ამჟამად ძირითადად ნორმატიული ხასიათისაა და უშუალოდ სტრატეგიების იმპლემენტაციის თვალსაზრისით მისი შეფასება მომავალი წლებისთვის უკეთ იქნება შესაძლებელი.

## **შეჯამება**

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, ეფექტიანი მმართველობა კვლავ ერთ-ერთ პრობლემურ სფეროდ რჩება. მნიშვნელოვან გამოწვევებად რჩება ტერიტორიული კონტროლი, არაფორმალური მმართველობა და პოლიტიკური კორუფციასთან ბრძოლა.

ეფექტიანი მმართველობის მიმართულებით სხვა კომპონენტებთან შედარებით საჯარო მმართველობის რეფორმისთვის ექსპერტთა მიერ მინიჭებული მაღალი მაჩვენებელი გამომდინარეობს საჯარო სერვისების გაციფრულების და ამ მიმართულებით სტრატეგიის წარმატებით ამოქმედების გამო. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ადმინისტრირების რეფორმის შეფასების ბევრი მექანიზმი განახლებული სტრატეგიის შექმნამდე არ არსებობდა, ახლა კი 2023-26 სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმების ინდიკატორებზე დაყრდნობით უფრო მარტივი ხდება მისი შეფასება. ამ ეტაპზე მთავარ გამოწვევას წარმოადგენს საჯარო სამსახურის პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზება და ამ მხრივ საჯარო ინსტიტუტების მონიტორინგის სუსტი მექანიზმი.

შესაბამისად, გამოკითხულმა ექსპერტებმა ეფექტიანი მმართველობის თვალსაზრისით

ყველაზე პრობლემურ სფეროებად არაფორმალური მმართველობა, პოლიტიკური კორუფცია და დამოუკიდებელი სასამართლო დაასახელეს.

ამავე დროს, 2023 წლის განმავლობაში საქართველოში ეფექტიანი მმართველობის განმტკიცებისთვის ექსპერტებმა დაასახელეს პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა შორისაც კვლავ ფიგურირებდა სასამართლო რეფორმა/მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, დეოლიგარქიზაცია და კორუფციასთან ბრძოლა.



სოციალურ-ეკონომიკური  
მმართველობა





## მთავარი მიზნები და გამოწვევები:

- 2023 წელს სოციო-ეკონომიკური მმართველობის საერთო ქულამ 38.22 შეადგინა. GGI-ს გამოკითხვის შედეგების თანახმად, მმართველობის სხვა სფეროებთან შედარებით, სოციო-ეკონომიკური მმართველობის სფერო მინიჭებული ქულების მიხედვით მეორე ადგილზეა. შედარებით პოზიტიური ქულა აიხსნება ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებით, ინფლაციიდან მომდინარე წნეხის განეიტრალებით და სოციალური პოლიტიკის მიმართულებით, ძირითადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით გადადგმული გარკვეული დადებითი ნაბიჯებით.
- 2022 წლის მსგავსად, ყველაზე დაბალი ქულა მიენიჭა ეკონომიკური ჩარჩოსა და შრომის ბაზრის პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს უმუშევრობის დონემ კვლავ დაინია, სიღარიბე და ეკონომიკური სირთულეები საზოგადოებისთვის უმთავრეს პრობლემად რჩება. დაბალი ანაზღაურება და დასაქმების შესაძლებლობების სიმწირე საქართველოდან შრომითი მიგრაციის უმთავრეს მიზეზებად რჩება.
- ყველაზე მაღალი ქულა მიენიჭა საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკას. ამის ახსნა შესაძლებელია ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური ზრდით, რამაც ხელი შეუწყო საგადასახადო შემოსავლების მიღებასა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებას. ქართული ლარის გამყარებამ დამატებითი როლი ითამაშა სახელმწიფო ვალის შემცირებაში.
- სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის კლების პარალელურად გაიზარდა სოციალური შემწეობის მიმღებთა პროცენტული მაჩვენებელი. სიღარიბის მაჩვენებლის კლება შესაძლოა განპირობებული იყოს სახელმწიფოს მხრიდან სოციალურად დაუცველი პირებისთვის ხელოვნურად შექმნილი საზოგადოებრივი სამუშაოებით.
- ხოლო რაც შეეხება ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული რეფორმების მხრივ, საგულისხმოა რომ DRG სისტემის ამოქმედებამ და მედიკამენტებზე რეფერენტულმა ფასწარმოებამ მოსახლეობისთვის წამლებზე შეღავათები და სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაზარდა. თუმცა ამავდროულად გაიზარდა რისკები, რომლებიც დაკავშირებულია წამლების ხარისხთან, სუბსიდირებული წამლების დეფიციტთან, სერვისების ხარისხის დავარდნასთან და კლინიკების დახურვის საფრთხესთან.

2022 წელს დაფიქსირებულ ორნიშნა ეკონომიკური ზრდის (10,4%) შემდეგ, საქართველოში ეკონომიკური ზრდა გაგრძელდა 2023 წელსაც და წლის პირველ ნახევარში მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 7.5% (საქსტატი, 2023). რეალური ზრდა ძირითადად განპირობებული იყო სამშენებლო და მომსახურების სექტორებით, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო სერვისებით, ვაჭრობის, ტრანსპორტირების, ფინანსური და სადაზღვეო სერვისებით. სხვა სექტორებმა, როგორცაა წარმოება და უძრავი ქონება კლება განიცადა. 2022 წელთან შედარებით, რომელიც ხასიათდებოდა ჯამური მოთხოვნის ბუმით რუსეთიდან საერთაშორისო ვიზიტებისა და ფულადი გადარიცხვების გამო, 2023

წელს ეკონომიკა გამოირჩეოდა მეტად რეზილიენტული ჯამური მოთხოვნით, რომელიც პოტენციური ზრდის მაჩვენებელთან (რომელიც 5%-ს უდრის (IMF, 2023)) უფრო ახლოს შენედა.

ზრდა კვლავ განპირობებულია ჯამური მოთხოვნით. მდგრადმა ეკონომიკურმა ზრდამ ხელი შეუწყო საგადასახადო შემოსავლებისა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებას. ქართული ლარის გამყარებამ დამატებითი როლი ითამაშა სახელმწიფო ვალის შემცირებაში. ვაჭრობამ განიცადა არსებითი ძვრები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების, მათ შორის რუსეთისკენ, ძირითადად მეორადი მანქანების იმპორტისა და ექსპორტის კუთხით. წლიურმა ინფლაციის მაჩვენებელმა 2023 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად დაინია, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრულ სამიზნე 3%-იან ინფლაციაზე საგრძნობლად ქვემოთ. თუმცა, მაღალი რჩება საბაზო ინფლაცია. წინა წელთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (CPI) 1,5%-იანი ზრდა განიცადა (საქსტატი, 2023). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოდინების განახლება გრძელდება, თუმცა ვარდნა დაფიქსირდა რეინვესტირების მიმართულებით (საქსტატი, 2023). 2023 წლის პირველ ნახევარში გაგრძელდა ფულადი გადარიცხვების ზრდა, რამაც გააუმჯობესა საქართველოს საგარეო პოზიცია. გაგრძელდა უმუშევრობის დონის კლება. თუმცა, სიღარიბე და ეკონომიკური სირთულეები საზოგადოებისთვის უმთავრეს პრობლემად რჩება. დაბალი ანაზღაურება და დასაქმების შესაძლებლობების სიმწირე საქართველოდან შრომითი მიგრაციის უმთავრეს მიზეზებად რჩება. ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით (NDI, 2023) ყოველი მეორე ქართველი ფიქრობს, რომ სიღარიბე და კრიმინალური მდგომარეობა გაუარესდა, გამოკითხულთა მეოთხედისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ საკვები და სხვა არაფერი, ხოლო ყოველ მეათე გამოკითხულს საკვების შესყიდვაც კი არ შეუძლია. სტატისტიკა კიდევ უფრო გაუარესებულია ეთნიკურ უმცირესობებს, რეგიონებსა და შორეულ რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შორის. საერთო ჯამში, საქართველოს ეკონომიკა რჩება მოხმარებაზე დაფუძნებულ ეკონომიკად, რომელშიც გაზრდილი ხარჯების დაფარვა ფულადი გადარიცხვებით და გზავნილებით უფრო ხდება ვიდრე წარმოების გაფართოებით.


2023 წელს, სოციალური და ეკონომიკური მმართველობა GGI ექსპერტთა გამოკითხვის თანახმად მეორე იყო საუკეთესო შესრულების მაჩვენებელი და გადააჭარბა მმართველობის ორ სხვა სფეროს. თუმცა საერთო მაჩვენებელი 100 ქულიანი შეფასებიდან ჯერ კიდევ 50 ქულაზე საგრძნობლად ქვემოთ რჩება, რაც საქართველოში ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მრავალრიცხოვან ნაკლოვანებებზე მიუთითებს. სოციალური და ეკონომიკური მმართველობის სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებებზე დაკვირვებით, ყველაზე მაღალი ინდივიდუალური ქულა მოდის საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკაზე, რაც შესაძლოა მდგრადი ეკონომიკური ზრდით აიხსნას, რომელმაც ხელი შეუწყო საგადასახადო შემოსავლებსა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებას. წინა წლების მსგავსად, ყველაზე დაბალი ქულა მოდის შრომის ბაზრის პოლიტიკაზე. საქართველოს საერთო შესრულების მაჩვენებელში ჩამორჩენას ასევე იწვევს სოციალური ინკლუზიის პოლიტიკა (დიაგრამა 9).

სოციალური და ეკონომიკური მმართველობის შიგნით ინდივიდუალური პოლიტიკის მიმარ-

თულებების ქულებს შორის სხვაობა საკმაოდ საგრძნობია (უმალეს და უმაღლეს ქულებს შორის 21.15 ქულიანი სხვაობა), რაც მიუთითებს, რომ სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები არ არის რაციონალიზებული და არ იძლევა მსგავს შედეგებს.

სოციო-ეკონომიკური მმართველობის მიმართულებით ცალკე აღებული სოციალურ პოლიტიკას 43.27 ქულა დაუგროვდა, ხოლო სოციალურ დაცვისა და ჯანდაცვის ქულები ძალიან ახლოს იყო ერთმანეთთან და მათი საშუალო 32.69 ქულას შეადგენს. სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის ქულები ადეკვატურად ასახავს რეალობას, გამომდინარე იქიდან რომ უშუალოდ რეფორმის და სოციალური თვალსაზრისით საზოგადოებას შეღავათები ნამდვილად აქვთ კონკრეტულ სოციალურ სერვისებზე, დასაქმებაზე და ჯანდაცვაზე, მაგრამ მეორე მხრივ პრობლემურია უშუალოდ ამ რეფორმების და ინიციატივების იმპლემენტაციის მონიტორინგის ნაწილი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

*დიაგრამა 9: როგორ შეაფასებდით საქართველოს მიერ განეულ ძალისხმევას სოციალურ და ეკონომიკურ მმართველობასთან დაკავშირებულ შემდეგ სფეროებში? (სტანდარტიზებულია 0-100 ქულიან სკალაზე, სადაც 100 ნიშნავს „ძალიან ეფექტიანს“, ხოლო 0 – „ძალიან არაეფექტიანს“*



## ეკონომიკური ჩარჩო და შრომითი ბაზარი

### მშპ-ის ზრდა

წლის პირველ ნახევარში მშპ-ს რეალურმა ზრდამ შეადგინა 7.5% (საქსტატი, 2023). 2022 წელს დაფიქსირებულ ორნიშნა ზრდასთან შედარებით, ზრდა შენელებულია. თუმცა, იგი მაინც აჭარბებს საქართველოს ეკონომიკის პოტენციური ზრდის მაჩვენებელს (5%).

მსოფლიო ბანკის პროგნოზის თანახმად, წლის ბოლომდე ეკონომიკის ზრდა მოსალოდნელია 5.9%-ით (მსოფლიო ბანკი, 2023). აზიის განვითარების ბანკი (ADB) უთითებს ზრდის მსგავს, 6%-იან დონეზე 2023 წლის ბოლომდე (ADB, 2023).

რეალური ზრდა ძირითადად განპირობებული იყო სამშენებლო და მომსახურების სექტორებით, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო სერვისებით, ვაჭრობის, ტრანსპორტირების, ფინანსური და სადაზღვეო სერვისებით. სხვა სექტორებმა, როგორცაა წარმოება და უძრავი ქონება 2023 წელს განიცადა კლება (საქსტატი, 2023). მომსახურების სექტორის ზრდის ძირითადი წყაროა ტურისტული აქტივობები.

2023 წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო ვიზიტების ერთი მეხუთედი (20%) რუსეთზე მოდიოდა (578.000 ვიზიტორი), რაც ორჯერ აღემატება 2022 წლის პირველ ნახევარში შემოსულ რუს ვიზიტორთა რიცხვს. ტურიზმის ზრდასთან ერთად შენარჩუნდა გზავნილების ზრდა, ისევე როგორც 2022 წელს.

რუსეთიდან მომდინარე ტურიზმი, რუსეთთან ექსპორტის შედეგად მიღებულ გზავნილებსა და შემოსავლებთან ერთად შეადგენდა 2 მილიარდ აშშ დოლარს. აღნიშნული 1.6-ჯერ აღემატება 2022 წლის იმავე პერიოდში რუსეთიდან მიღებულ შემოსავლებს (TI, 2023).

## **ინფლაცია**

ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა საგრძნობლად დაიკლო. მსოფლიო ბანკის შეფასების თანახმად, 2023 წლის აგვისტოში ინფლაციის მაჩვენებელი ჩამოვიდა -0.1%-მდე (y-o-y), საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრულ სამიზნე 3%-იან ინფლაციაზე ბევრად ქვემოთ. კლებადი ინფლაციის დონის საპასუხოდ, სებ-მა სავალუტო პოლიტიკის დონე 10%-მდე (25 bps-ით) შეამცირა. ეს აისახება მწარმოებელთა ფასების ინდექსზეც (PPI), რამაც განიცადა 6%-იანი ვარდნა (y-o-y).

თუმცა, მაღალი რჩება საბაზო ინფლაცია. გასულ წელთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსში (CPI) დაფიქსირდა 1,5%-იანი ზრდა. ისევე როგორც გასულ წლებში, ინფლაცია ძირითადად განპირობებული იყო საკვებზე, არაალკოჰოლურ, ისევე როგორც ალკოჰოლურ სასმელზე და გადასახადებზე ფასების ზრდით (საქსტატი, 2022). სხვა, ფასების ზრდის გამომწვევი სექტორებია ტურიზმთან დაკავშირებული სექტორები, როგორცაა ჰოსფითალითი სერვისები. 2023 წელს CPI-ს ზრდა ასევე განაპირობა განათლების ფასების გაზრდამ გასულ წელთან შედარებით (საქსტატი, 2023).

## **ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**

2023 წელს, საქართველოს გარე ვაჭრობა 14.7%-ით გაიზარდა 2022 წელთან შედარებით. იმპორტის ზრდამ (16.1%) გადააჭარბა ექსპორტის ზრდას (11.1%). შედეგად, ვაჭრობის დეფიციტი კიდევ უფრო გაღრმავდა და გადააჭარბა 8 მილიარდ ლარს – ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2020 წლის შემდეგ (საქსტატი, 2023).

საქართველოდან ექსპორტის მხოლოდ 12% მოდის ევროკავშირზე, მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის (დსთ) წილი 65.5%-მდე გაიზარდა. საქართველოში იმპორტის წილი ევროკავშირიდან (24.3%) ოდნავ აღემატება დსთ-ის წილს (21.3%) (საქსტატი, 2023).



2022 წელთან შედარებით, ექსპორტი ყველაზე მეტად ყაზახეთში (223.9%) და ყირგიზეთში (767.4%) გაიზარდა, რამაც ეს ორი სახელმწიფო საექსპორტო მიმართულებების სათავეში ჩააყენა აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ. საქართველოში იმპორტის ძირითადი წყაროები თურქეთი, აშშ, რუსეთი და ჩინეთია. იმპორტის ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა იაპონიასთან (118.2%) და აშშ-სთან (99.4%). როგორც იმპორტს, ისევე ექსპორტს ძირითადად განაპირობებს სამგზავრო, უმეტესად მეორადი ავტომობილებით ვაჭრობა (საქსტატი, 2023).

საქართველომ ასევე ხელი მოაწერა ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას (CEPA) არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან (UAE). შეთანხმება ახდენს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზებას და უშვებს ქართული საქონლის დაახლოებით 97.5%-ის დაუბეგრავად შედინებას არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების განახლება გრძელდება. თუმცა, წლის მესამე კვარტალში შემოდინებამ დაიკლო 61.5%-ით, რაც გამოწვეული იყო რეინვესტირებების შემცირებით. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მთავარი პარტნიორი იყო ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, და აშშ. განაწილების მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მოდის ფინანსურ და სადაზღვეო მომსახურებებზე, წარმოებასა და ენერგოსექტორზე.

ფულადი გადარიცხვების ზრდა გაგრძელდა 32.5%-ით (y-o-y) 2023 წლის პირველ ნახევარში, რამაც გააუმჯობესა საქართველოს საგარეო პოზიცია (მსოფლიო ბანკი, 2023).

## **შრომითი ბაზარი**

2023 წლის მესამე კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე 15.6%-მდე ჩამოვიდა პირველი კვარტლის 18%-დან და 2022 წელს დაფიქსირებული წლიური 17.3%-დან. რეალურად, მიმდინარე დონე ბოლო ათწლეულში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. 2023 წლის მესამე კვარტალში დაფიქსირდა 16.3%-იანი ზრდა (260.4 ლარის ღირებულების), საშუალო ნომინალურმა ხელფასმა კი 1855.4 ლარს მიაღწია. ყველაზე მაღალი ანაზღაურება დაფიქსირდა საინფორმაციო და კომუნიკაციების სექტორებში, მშენებლობის, საფინანსო და სადაზღვეო სერვისებსა და სამეცნიერო და ტექნიკურ აქტივობებში (საქსტატი, 2023).

თუმცა, საქართველოში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალია. შრომითი ძალის დაახლოებით მესამედი თვითდასაქმებულია. ისევე როგორც გასულ წელს, შრომის ბაზარში ჩართულობის დონე უფრო მაღალია მამაკაცებში ვიდრე ქალებში. თუმცა უმუშევრობის დონე მამაკაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში (საქსტატი, 2023).

NDI-ის გამოკითხვის შედეგების თანახმად, დაბალი ხელფასები და დასაქმების შესაძლებლობების სიმწირე დასახელებულია დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების საძიებლად საქართველოდან იმიგრაციის ძირითად მიზეზებად. უახლესი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 16% უშვებს იმიგრაციის შესაძლებლობას (NDI, 2023).

## ფისკალური პოლიტიკა

ტურიზმის, გზავნილებისა და ტრანზიტული ვაჭრობის მდგრადმა ზრდამ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგადასახადო შემოსავლების გაზრდას, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებასა და ქართული ლარის გამყარებას.

2023 წლის პირველ ნახევარში პირველადმა საბიუჯეტო ნამატმა შემოსავლების ძლიერი მაჩვენებლის დამსახურებით მშპ-ის 0.7%-ს მიაღწია. მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და ქართული ვალუტის, ლარის (GEL) განგრძობადი გამყარების გამო, 2023 წლის პირველ ნახევარში საჯარო ვალისა და მშპ-ის თანაფარდობამ ვარდნა განაგრძო (World Bank, 2023).

საერთაშორისო საფინანსო ფონდმა (IMF) მიიჩნია, რომ საქართველო ასრულებდა შეთანხმებული სესხის პირობებს და ქვეყანას გამოეყო 40 მილიონი აშშ დოლარი იმ რეკომენდაციით, რომ გაგრძელდება ზომიერი ფისკალური ცვლილებები, შეიქმნება სივრცე პრიორიტეტული ხარჯებისთვის განახლებად ენერჯისა და სახელმწიფო კომპანიებში ფისკალური რისკების შესამცირებლად და გამოყენებულ იქნება ფისკალური რეგულაციებისა და ზედამხედველობის მიმართ პროაქტიული მიდგომა (IMF, 2023).

## სოციალური პოლიტიკა

სიღარიბე რჩება საქართველოს უმთავრეს გამოწვევად. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის შემდეგ უკიდურესი სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები პირების პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა დაახლოებით 15.6%-მდე, სოციალური ბენეფიტების მიმღებ პირთა რიცხვი 17.9%-მდე გაიზარდა. 2023 წლის მონაცემებით, ეს რიცხვი მოიცავდა 668,555 პირს, რაც საქართველოსთვის ისტორიული მაქსიმუმია (სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2023). 2023 წლის მონაცემებით, სოციალურად დაუცველ პირთა ბაზაში რეგისტრირებულია მილიონზე მეტი ადამიანი და მათი დაახლოებით ნახევარი იღებს სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას. გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში ყოველი მეოთხე ბავშვი და, შესაბამისად, მათი 27% დამოკიდებულია სოციალურ ბენეფიტებზე (SSA 2023).

ოფიციალური სტატისტიკა გამყარებულია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით. ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით (NDI, 2023) ყოველი მეორე ქართველი ფიქრობს, რომ სიღარიბე და კრიმინალური მდგომარეობა გაუარესდა, გამოკითხულთა მეოთხედისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ საკვები და სხვა არაფერი, ხოლო ყოველ მეათე გამოკითხულს საკვების შესყიდვაც კი არ შეუძლია. სტატისტიკა კიდევ უფრო გაუარესებულია ეთნიკურ უმცირესობებსა და რეგიონებსა და შორეულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს შორის. როგორც 2021 წელს, Gini-ს კოეფიციენტი, რომელიც ზომავს უთანასწორობას, 2022 წლის ბოლოსთვის კვლავ მყარად რჩებოდა 34%-ის ფარგლებში. ეს მაჩვენებელი მიუთითებს, რომ შემოსავალი და დოვლათი ნაწილდება, თუმცა განაწილება შესაძლოა გაუმჯობესებულიყო და გამხდარიყო მეტად თანასწორი.



ვინაიდან ინფლაციამ შენელება დაიწყო 2022 წელთან შედარებით, როდესაც ფასები მკვეთრად გაიზარდა, ოფიციალური საარსებო მინიმუმი დარჩა იმავე დიაპაზონში, დაახლოებით 250 ლარი სამუშაო ასაკის მამაკაცისთვის და დაახლოებით 220 ლარი საშუალო მომხმარებლისთვის (Geostat, 2023).

2023 წლის ივლისის მონაცემებით, სახელმწიფომ წამოიწყო 200 ლარის ოდენობით თვიური ფინანსური დახმარების სისტემა სიღარიბეში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, რომელიც ვრცელდება სოციალური დახმარების ქვეშ მყოფ 16 წლამდე ასაკის ბავშვებზე (MOH 2023).

საქართველო განაგრძობს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამას (TSA), ფულადი გადარიცხვის პროგრამას რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის უღარიბესი სეგმენტისათვის ფინანსური დახმარების გაწევას. თუმცა, პროგრამა ფარავს სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებს. სახელმწიფოს მხრიდან არაადექვატური ურთიერთობისა და რეგიონებსა და შორეულ რაიონებში ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომის გამო, პროგრამის თაობაზე ბევრი ოჯახი რჩება არაინფორმირებული (Japaridze, 2023).

ხსენებული გარემოებები იძლევა იმის ფიქრის საფუძველს, რომ უკიდურესი სიღარიბის დონის მიღმა მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა სოციალური შემწეობის გაზრდის ხარჯზე, რაც არ ქმნის ხანგრძლივ პერსპექტივაში სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობას. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, წლების მანძილზე, სოციალურ ბენეფიტებზე მოსახლეობის დამოკიდებულების გაზრდას მოსახლეობისთვის სოციო-ეკონომიკური კეთილდღეობის კუთხით სიტუაციის გაუმჯობესება არ გამოუწვევია და მხოლოდ ხელი შეუწყო სტატუს კვოს შენარჩუნებას. გარდა ამისა, მიუხედავად სოციალური დახმარების მიმართულებით საქართველოში გადადგმული ნაბიჯებისა, სოციალური დახმარების მიმღებთა გამოვლენის მექანიზმის ეფექტიანობა, ისევე როგორც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ არსებულ სოციალურ სიკეთეებსა და ამის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა გამონვევად რჩება. მნიშვნელოვანია, რომ საარსებო შემწეობა განისაზღვროს უღარიბესი მოსახლეობისთვის. თუმცა, მაგალითად უსახლკარო პირებს არ შეუძლიათ საარსებო შემწეობის მიღება არსებული კანონმდებლობის გამო (ჯანიაშვილი 2023). ამასთან, საარსებო შემწეობის მისაღებად ქულების გამოთვლა მეტად ხელოვნურია. მაგალითად, არ არსებობს სისტემური მექანიზმი, რომელიც გაანალიზებს ხანდაზმული ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობას, მის შრომისუნარიანობას, მიუხედავად მის მფლობელობაში არსებული გარკვეული ქონებისა, რის გამოც, ყველაზე დაუცველი ჯგუფები რჩებიან სოციალური შემწეობის მიღმა.

## **სოციალური დაცვა და ჯანდაცვა**

### **დასაქმების პროგრამა**

სოციალური დაცვის მიმართულებით, 2023 წლისთვის ორი ძირითადი საკითხი შეიძლება გამოიყოს, კერძოდ დასაქმებისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის თვალსაზრისით

გადადგმული ნაბიჯები და გამოწვევები. სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების და სოციალურ დახმარებაზე მათი დამოკიდებულების შემცირების მიზნით მთავრობამ წამოიწყო პროგრამა, რომელიც საზოგადოებრივ სამუშაოებზე სოციალურად დაუცველების დასაქმებას მოიცავს. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის იმ ნაწილს რომლებიც აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთნენ სახელმწიფოს მხრიდან მიეცათ გარანტია, რომ პარალელურად სოციალური დახმარებაც შეუნარჩუნდებოდათ და მათი სოციალური მდგომარეობის გადამონმება 4 წლის მანძილზე არ მოხდებოდა. ხოლო ერთ წელიწადში გადაიხედებოდა იმ პირთა სოციალური ქულები რომლებიც ამ გადანყვეტილების ფონზე უარს იტყოდნენ დასაქმებაზე. 2023 წლის მონაცემებით დაახლოებით 30 000 ადამიანზე მეტი ჩაერთო საზოგადოებრივ სამუშაოებში, მათ შორის შპმ პირები (Business Insider Georgia 2023). ერთი მხრივ აღნიშნული ინიციატივა პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს, მეორე მხრივ კი აღნიშნული პროგრამის კრიტიკოსები ხელისუფლებას მოსახლეობის წინასაარჩევნოდ მოსყიდვაში ადანაშაულებენ. ასევე მნიშვნელოვანია შეიქმნას დამატებითი შეფასების მექანიზმი შრომის ინსპექციის და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობით დასაქმების პროგრამის ეფექტიანობის და ასევე მიზანშეწონილობის დასადგენად. გამომდინარე იქიდან რომ პრობლემურია იმის მონიტორინგი, თუ კონკრეტულად რეალურად რაზე საქმდებიან ეს ადამიანები. ვინაიდან რადგანაც არსებობს ასევე რისკი იმისა, რომ მათი სამსახურში გაფორმება ფიქტიურად, ან არარსებულ სამუშაოებზე მოხდეს. გარდა ამისა, ეკონომისტების ნაწილი მიიჩნევს რომ სოციალურად დაუცველ შრომისუნარიან ადამიანს მსგავსი პროგრამები არააქტიურს ხდის და რეალურად ამ ადამიანების რესურსის არაპროდუქტიულად გამოყენება ხდება (ISETChannel 2023). თუ გავითვალისწინებთ იმას რომ მსგავსი დასაქმების პროგრამა მოიცავს სასაფლაოების კეთილმოწყობას, მანქანის რეცხვას, პირუტყვის მოვლას მოიცავს რაც შესაძლოა მუნიციპალური სამსახურის ფუნქციებთან და მოსახლეობის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან იყოს ისედაც შერწყმული.

## **საცხოვრისით უზრუნველყოფა**

საცხოვრისით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამები ისევე როგორც წინა წლებში, 2023 წელსაც დევნილებსა და ეკომიგრანტებზე იყო ძირითადად გათვლილი. ეს მოიცავდა საცხოვრებელ კორპუსებში მათ შესახლებას და ასევე ე.წ. სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფას. ამჟამად საქართველოს ხუთ ქალაქში შენდება დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსები (MOH 2023). ეს არის მიმდინარე პროგრამა და 2025 წლისთვის ჯამში 60 000 ოჯახის დაკმაყოფილებაა დაგეგმილი (აზარაშვილი 2023).

მუნიციპალურ დონეზე თბილისის მერიამ ზოგადად უსახლკარო ოჯახების საცხოვრებლით დაკმაყოფილების პროგრამის ფარგლებში 80-მდე უძრავი ქონება შეიძინა (პირველი არხი 2023). გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებში დროებითი საცხოვრებლის ქირის თანადაფინანსების შესაძლებლობით მოსახლეობა საკმაოდ აქტიურად სარგებლობს. მაგრამ რთული მდგომარეობაა სოციალურ საცხოვრისებში საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით მწვავე და გაუსაძლის პირობებში უწევთ ცხოვრება გორის და ორხევის სოციალურ საცხოვრისებში (სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2023). არსებული საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამები ან მწირი რაოდენობითაა, ან არსებულში პირობები არ არის

ღირსეული ცხოვრებისთვის უზრუნველყოფილი, რასაც 2023 წლისთვის სათანადო ყურადღება არ მიქცევია. თუმცა აღსანიშნავია რომ 2023 წლის ნოემბერში საქართველოს პრემიერ მინისტრმა 2024-25 წლებისთვის სახელმწიფოს მხრიდან 1000-მდე უსახლკარო, მრავალშვილიან ოჯახისთვის საცხოვრებელი უზრუნველყოფა დააანონსა, რისთვისაც 50 მილიონი ლარი იქნება განსაზღვრული (Business Media 2023).

### **პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პროგრესი**

2023 წლისთვის ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ამოქმედება და მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების ახალ მოდელზე გადასვლა იყო. ამ მოდელის ფარგლებში სამედიცინო სერვისებზე ხდება ტარიფების გადახედვა, სახელმწიფოს მხრიდან თანხის გადარიცხვა, სერვისების კატეგორიზება და ერთიანი ტარიფების გენერირება (ვერულავა 2022). თუ მანამდე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ხდებოდა სამედიცინო მომსახურებაზე დადგენილი ტარიფების მიხედვით, DRG-ის სისტემის ფარგლებში ის დიაგნოზების მიხედვით ხდება სადაც მსგავსი ტარიფები განისაზღვრება. რეფორმის ფარგლებში კლინიკებში მომსახურებაზე თანაგადახდა 0-დამ 30%-მდე შეიძლება იყოს სოციალური სტატუსის მიხედვით. ამ წესების დარღვევის შემთხვევაში, კლინიკა პირველ ჯერზე იღებს გაფრთხილებას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში 1000 ლარიან ჯარიმას გულისხმობს, ხოლო მეორე გაფრთხილებისთანავე ეთიშება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას (GGI 2022).

რეფორმის დაწყებიდან, 1 წლის შემდეგ, სამედიცინო სერვისებზე პაციენტის თანაგადახდა, მნიშვნელოვნად, სამჯერ 27%-დან 10%-მდე შემცირდა (MOH 2023). გარდა ამისა, DRG რეფორმის დაწყებიდან – დღემდე, 395 000-ზე მეტ მოქალაქეს, 550 000-ზე მეტი სამედიცინო შემთხვევა, სახელმწიფომ, დაახლოებით, 840 მილიონი ლარით დაუფინანსა (ITV 2023). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა სილვიუ დომენტემ ჩღჩ სისტემის ამოქმედებიდან ერთი წელი დადებითად შეაფასა, თუმცა აღნიშნა რომ ესაჭიროება უწყვეტი მონიტორინგი, შემონიშნა-დარეგულირება და გაუმჯობესება (MOH 2023). მონიტორინგი ასევე მნიშვნელოვანია იმისთვის რომ ტარიფების გათანაბრების გამო კლინიკებში არ დაიწყოს მომსახურების ხარისხის დავარდნა რიგ შემთხვევებში ექიმების ჰონორარების დაკლების ნიადაგზე მოტივაციის ვარდნის და კლინიკის ინფრასტრუქტურის სათანადოდ აღჭურვაზე თანხის დაზოგვის გამო. 2023 წლის ოქტომბრისთვისთვის საყოველთაო ჯანდაცვის სისტემიდან 6 კლინიკა ჩაიხსნა და ათეულობით სამედიცინო დაწესებულებას გარკვეული სამედიცინო სერვისების მიწოდების უფლება შეეზღუდა (IPN 2023). ამ მხრივ სიტუაცია გამწვავდა 2023 წლის ბოლოს, მას შემდეგ რაც DRG-ის სისტემა სამშობიაროებსაც შეეხო. სახელმწიფო სამშობიაროებს მხოლოდ 1221 ლარით და 92 თეთრით აფინანსებს, ეს თანხა კი ექიმების ანაზღაურებას აღარ სწვდება. ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძის თქმით ამ სისტემის ამ ფორმით სამშობიაროებში ამოქმედების გამო გაიზრდება გართულებული და ლეტალური შემთხვევების რაოდენობა, შემცირდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ხელი შეეწყობა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ქვეყნიდან გადინებას და სამშობიაროების დახურვას (სურგულაძე 2023). ამგვარად პროგრამას თავისი ნებით ჩაეხსნა დავარამვილის, ლიდერმედის კლინიკები (ჯანდაცვის პორტალი 2024). საპირისპიროს ამტკიცებს გაგუას კლინი-

კის ხელმძღვანელი დავით გაგუა და მისი განცხადებით „DRG მოდელით ფიზიოლოგიური მშობიარობისა და საკეისრო კვეთის მომსახურების ტარიფების გათანაბრება ძალიან კარგია. ეს დადებითად იმოქმედებს როგორც კლინიკისა და მედიცინის განვითარებაზე, ისე პაციენტების უსაფრთხოებაზე“ (გაგუა 2023). აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2023 წლის ბოლოს DRG სისტემით 3500 მშობიარობა დაფინანსდა, როგორც სამინისტროში განმარტავენ ამ ცვლილების შემოღების ერთ-ერთი მიზანი არამიზნობრივი საკეისრო კვეთების შემცირება იყო, რისი კლებაც მინისტრ აზარაშვილის თქმით სახეზეა (ITV 2023).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფარმაცევტულ ბაზარზე განხორციელებული ცვლილებები. მედიკამენტებზე რეფერენტული ფასწარმოება, ფასის ზედა ზღვრის განსაზღვრა 2023 წლის იანვრიდან დაიწყო და დეკემბრის მონაცემებით რეფერენტული ფასები 3045 ნამალზე მოქმედებს და რისი გავრცელებაც კიდე 2103 მედიკამენტზეა დაგეგმილი (MOH 2023). ჯანდაცვის ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ყველა მედიკამენტზე დაანესებს ზედა ზღვრულ ფასს ამან შესაძლოა წამლების დეფიციტის რისკი გაზარდოს (ITV 2023).

2023 წლის განმავლობაში 350 მილიონი ლარის ფარგლებში დაიზოგა წამლებზე ფასი რეფერენტული ფასწარმოებისა და თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შედეგად. ხოლო ონკოლოგიური მედიკამენტების შემთხვევაში სახელმწიფო მწარმოებელ კომპანიებთან პირდაპირ მოლაპარაკებაში შევიდა და ონკო პაციენტებისთვის მომავალი წლის მარაგი უზრუნველყო (აზარაშვილი 2023). ამ ფონზე მედიკამენტებზე ფასების ზრდამი და დეფიციტის გამიზნულად შექმნაში მინისტრმა კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიები დაადანაშაულა, რის გამოკვლევაზეც მისი თქმით უწყება მუშაობს. ხაზგასასმელია, რომ ფარმაცევტული კომპანიების ასოციაცია წამლების მიღებაში შეფერხებას მწარმოებელ კომპანიებს აბრალებს და ასევე ხაზს უსვამს თურქულ ბაზარზე ფასების ზრდას, შეკვეთილი წამლების შეფერხებით შემოტანას და ონლაინ აღრიცხვის პროგრამის ხარვეზებით მუშაობას, რომელშიც ყველა ფარმაცევტული საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, იყოს ჩართული (IPN 2023). მედიკამენტებზე რეფერენტულმა ფასწარმოებამ აშკარად შეუქმნა მოქალაქეებს შეღავათები, თუმცა ამავდროულად არსებობს კონკრეტულ მედიკამენტებზე დეფიციტის წარმოქმნის რისკი და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ფასებზე ზედა ზღვარ დაწესებული წამლების ხარისხის პროაქტიული კონტროლი, რა მიმართულებითაც გამოწვევები კვლავ არსებობს.

## **შეჯამება**

2023 წელს, სოციო-ეკონომიკური მმართველობა ექსპერტების გამოკითხვის მიხედვით უფრო დადებითად შეფასდა ვიდრე სხვა სფეროები, და მიენიჭა მეორე საუკეთესო მაჩვენებელი. თუმცა, გამოკითხულ ექსპერტთა თანახმად, კვლავ სახეზეა ბევრი სერიოზული გამოწვევა. ყველაზე დიდი გამოწვევები მოიცავს: ეროვნული ბანკის რეპუტაციისა და ანგარიშვალდებულების დაზიანებას; პოლიტიკურ პოლარიზაციასა და პოლიტიკური დიალოგის შემცირებას ადგილობრივ და საერთაშორისო პოლიტიკურ პარტნიორებს შორის, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ბიზნეს გარემოსა და მის რეპუტაციაზე ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების თვალში; სიღარიბესთან გასამკლავებელი სამთავრობო



პროგრამების არაეფექტიანობას, მაღალ უმუშევრობის დონეს; შრომითი ბაზრის იმიგრაციასა და ინტელექტუალური რესურსის გადინებას ქვეყნიდან.

საერთო ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება გამოკითხულ ექსპერტთა მიერ დასახელებული იყო როგორც 2023 წლის მთავარი დადებითი განვითარება. დადებითი განვითარების კუთხით აღნიშნული იყო ასევე შშმ პირებისათვის ფინანსური დახმარების პაკეტის გაზრდა და ახალი სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერა.

მთავრობის სოციალური პოლიტიკა უფრო მეტად რაოდენობაზე და არა ხარისხზეა ორიენტირებული. საზოგადოების ყველაზე მონყველადი ჯგუფების სოციალურ პროგრამებში მოქცევა ვერ ხერხდება კანონმდებლობის დაუხვეწელობიდან და სოციალური დაუცველის სტატუსის გამომთვლელი არაეფექტიანი მექანიზმიდან გამომდინარე. დასაქმების პროგრამები ერთი მხრივ პოზიტიურია გამომდინარე იქიდან რომ დასაქმებისთანავე ახლა უკვე სოციალურად დაუცველებს სოციალური შემწეობა ოთხი წლის მანძილზე არ უწყდებათ. თუმცა მეორე მხრივ ეს შესაძლოა გახლდეთ ერთგვარი პოლიტიკური ინსტრუმენტი ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად. გარდა ამისა, ჯანდაცვის რეფორმის ნაკლოვანებას წარმოადგენს მისი არა ინკლუზიურობა, კერძოდ კლინიკებთან, ჯანდაცვის ექსპერტებთან და ადგილობრივ ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებთან ფართო კონსულტაციების გამართვის პრობლემა.

2024 წლისთვის ექსპერტების მიერ განსაზღვრული მთავარი რეკომენდაციები მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის რეპუტაციის აღდგენას, პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებას, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებას, ვაჭრობის დივერსიფიკაციას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მათ შორის სატრანსპორტო გადაზიდვის გამარტივებასა და შერბილებას, რეგიონების მასშტაბით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, უმუშევრობის წინააღმდეგ უფრო სისტემატიურ და ეფექტიან ბრძოლასა და სოციალური პოლიტიკის გადახედვას ერთჯერადი ფულადი დახმარებების მიღმა, თანასწორობის გაუმჯობესებისა და სიღარიბის შემცირების კუთხით სტრუქტურული და სისტემური მიდგომის დანერგვის გზით. ხოლო ჯანდაცვის სისტემის მხრივ, ახალი ჯანდაცვის რეფორმის განხორციელების დაწყების შემდეგ წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად, ექსპერტების მთავარი რეკომენდაციაა ხარვეზების საფუძვლების გამოკვლევა ჯანდაცვის ექსპერტებთან, კერძო კლინიკებსა და ფარმაცევტული კომპანიების მფლობელებთან კონსულტაციების საფუძველზე.





საბარემო მმართველობა



## ძირითადი მიზნები და გამოწვევები

- 2023 იყო ისტორიული წელი ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების კუთხით: **დეკემბერში ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა**. მიუხედავად ევროინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესისა, პოლიტიკური და დემოკრატიული რეფორმების მხრივ, რეგრესი გაგრძელდა და ბრიუსელსა და თბილისს შორის პოლიტიკური ურთიერთობები უფრო და უფრო არაპროგნოზირებადი გახდა. 2023 წელს საქართველოს თანხვედრა ევროკავშირის CFSP-სთან ისტორიულ მინიმუმამდე – 43%-მდე დაეცა (ნოემბრის მონაცემებით).
- გასული წლების მსგავსად, **ამ წლის გამოწვევები მოიცავდა** საქართველოს უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორებთან – **ევროკავშირსა და აშშ-სთან ნაწილობრივ კონფრონტაციულ ურთიერთობებს**, ასევე, წარმატებული დემოკრატიზაციისათვის საჭირო რეფორმების მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლის ნაკლებობას, რაც საფრთხეს უქმნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას.
- **საქართველოს მთავრობის მჭიდრო კავშირები ევროპის არალიბერალურ რეჟიმებთან**, ისევე, როგორც ჩინეთთან სტრატეგიული შეთანხმების დადება აჩენს კითხვებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ვექტორთან, გეოპოლიტიკურ პოზიციონირებასთან და დემოკრატიულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- საქართველოს მთავრობის მხრიდან **რუსეთთან ურთიერთობის დათბობისადმი მიმდებლობა** და 2023 წელს მოსკოვიდან წამოსული უსაფრთხოების რისკების მიმართ არასაკმარისი რეაგირება დანახულია, როგორც საგარეო და უსაფრთხოების მმართველობის მთავარი ნაკლოვანება 2022 წელთან შედარებით.
- საქართველო აგრძელებს NATO-სთან თანამშრომლობას თავსებადობის გაზრდის კუთხით, და ინარჩუნებს თბილისსა და ბრიუსელს შორის მაღალი დონის კომუნიკაციას; თუმცა, 2023 წლის NATO-ს სამიტმა აჩვენა, რომ **ქვეყანა მნიშვნელოვნად არ წასულა წინ ალიანსში განვითარების კუთხით**.


საგარეო მმართველობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა შეფასებულია ოთხი ინდიკატორის მიხედვით: (1) ევროინტეგრაცია, (2) NATO-სა და აშშ-სთან ურთიერთობების გაუმჯობესება, (3) რეგიონული და გლობალური ცვლილებების მიმართ მგრძობიანობა, და (4) უსაფრთხოების საკითხების მართვა. ანგარიშის ეს ნაწილი ზომავს საქართველოს მიღწევებს ზემოაღნიშნულ ოთხ სფეროში 2023 წლის განმავლობაში ნარატიულ ანალიზსა და ექსპერტების გამოკითხვაზე დაყრდნობით.

საქართველომ გაიარა ისტორიული წელი ევროინტეგრაციის კუთხით და მიიღო წევრობის კანდიდატის სტატუსი. თუმცა, საგარეო პოლიტიკა რჩება ქვეყანაში პოლარიზებული გარემოს ერთ-ერთ მთავარ კატალიზატორად. ტრადიციულ გამოწვევებზე, რომლებსაც ქვეყანა აწყდება საგარეო მმართველობის მხრივ, კვლავ რჩება საშინაოპოლიტიკური და დემოკრატიული ტურბულენტობა და, მეორე მხრივ, რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეები. თბილისი ინარჩუნებს ეფექტიანობის გარკვეულ ხარისხს გეოპოლიტიკური,

განსაკუთრებით სამეზობლოში მიმდინარე ცვლილებებისადმი რეაგირების კუთხით.

2022 წელთან შედარებით, საგარეო მმართველობის ქულამ, საგრძნობი რეგრესი განიცადა და 32.77-დან 26.42 ქულამდე ჩამოვიდა 100-ქულიან სკალაზე (დიაგრამა 10), რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკას GGI 2023-ის დანარჩენ სამ კრიტერიუმთან მიმართებით სიის ბოლოში აქცევს. ექსპერტებმა ყველაზე უარყოფითად შეაფასეს აშშ-სთან ურთიერთობები (ყველაზე დაბალი 20 ქულით) სხვა გაზომილ კომპონენტებთან შედარებით. მეორე მხრივ, შეფასების ყველაზე მაღალი, 31 ქულა მიენიჭა ახლად აღმოცენებული უსაფრთხოების რისკების მართვასა და უკვე არსებული უსაფრთხოების რისკების მართვას (დიაგრამა 10).

დიაგრამა 10: როგორ შეაფასებდით საქართველოს მიერ განეულ ძალისხმევას საგარეო მმართველობასთან დაკავშირებულ შემდეგ სფეროებში 2023 წლის განმავლობაში? (შედეგები სტანდარტიზებულია ასქულიან სკალაზე, სადაც სადაც 100 ნიშნავს „ძალიან ეფექტიანს“, ხოლო 0 „ძალიან არაეფექტიანს“)



2023 წლის განმავლობაში, საგარეო მმართველობის მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების საქმიანობა კვლავ განპირობებული იყო გლობალური მოვლენებით. მათ შორისაა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივის ზრდა და კოლექტიური დასავლეთის მობილიზაცია ახალი გლობალური უსაფრთხოების გამოწვევების ირგვლივ. საბოლოოდ, 2023 წელს საქართველოს მიენიჭა წევრობის კანდი-

დატის სტატუსი. ამ ფონზე, საქართველოს საგარეო მმართველობის ქულის განგრძობითი ვარდნა გამოწვეული იყო ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით წინსვლის, აშშ-სთან პარტნიორობის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების რისკებთან გამკლავების სფეროში პროგრესის ნაკლებობით (ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთობების მართვა და რუსეთთან ურთიერთობების მართვა). ტრადიციულად, არასტაბილური შიდაპოლიტიკური გარემო და რეფორმების სუსტი დღის წესრიგი რჩება ქვეყნის ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის გრძელვადიან გამოწვევებად.

## ევროინტეგრაცია

2023 იყო ისტორიული განვითარების წელი ევროკავშირში ინტეგრაციის თვალსაზრისით. უკრაინაში რუსეთის ხელახალი შეჭრიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, ევროპის საბჭომ გადაწყვიტა, საქართველოსთვის მიენიჭებინა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი „იმ დათქმით, რომ გადადგმული იქნება კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციით განერილი შესაბამისი ნაბიჯები“ (European Commission 2023c). საქართველო აგრძელებს ევროკავშირთან დაახლოებას კანდიდატი ქვეყნის სტატუსით რათა გადავიდეს განვერიანების მოლაპარაკებების გახსნის ეტაპზე, როგორც ეს ასოცირებული ტრიოს ორი ქვეყნის – უკრაინისა და მოლდოვის შემთხვევაში მოხდა. თუმცა, საქართველოს მხრიდან რეფორმების სურვილის ნაკლებობა, დემოკრატიზაციის ხარისხში სტაგნაცია და ღრმა პოლიტიკური პოლარიზაცია განვერიანების პროცესში წინსვლის კუთხით მნიშვნელოვან პოტენციურ ბარიერებად რჩება (Sabanadze 2023; Light & Baczyńska 2023).

საქართველოს წარმატებული ევროინტეგრაცია შესამჩნევი საფრთხის წინაშე დადგა 2023 წლის მარტში, როდესაც მმართველმა პარტიამ – ქართულმა ოცნებამ მხარი დაუჭირა მისი განაყოფი საპარლამენტო ჯგუფის „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტს. ადგილობრივი მასობრივი დემონსტრაციების და მწვავე საერთაშორისო კრიტიკის შემდეგ ქართული ოცნება იძულებული გახდა მეორე მოსმენაზე კანონპროექტის წინააღმდეგ მიეცა ხმა (Parliament of Georgia 2023a; Lebanidze & Samkharadze 2023). ამას გარდა, კოლექტიური დასავლეთის მხრიდან კრიტიკა გაიზარდა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან თანხვედრის გაუარესების გამო (CFSP) (European Commission 2023c; Akobia 2023; GIP 2023a). ასევე კრიტიკა მოჰყვა მაისში, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ პირდაპირი ფრენების აკრძალვის გაუქმებასა და საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთში 90 დღის განმავლობაში უვიზო მიმოსვლის დაშვების რეზოლუციის ხელმოწერას (European Commission 2023a; 2023b). ევროპულ დედაქალაქებში გაჟღერდა შეშფოთება ქართული ოცნების მხრიდან საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ, მთავრობის თანხმობის გარეშე ევროპაში საერთაშორისო ვიზიტების გამართვის გამო იმპიჩმენტის პროცესის დაწყების თაობაზე (იხ. დემოკრატიული მმართველობის თავში). საკონსტიტუციო სასამართლომ სალომე ზურაბიშვილის მიერ განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტები არაკონსტიტუციურად მიიჩნია. თუმცა, პარლამენტმა ვერ შეძლო პრეზიდენტის იმპიჩმენტის წარმატებით დასრულება. ევროპარლამენტარების თანახმად, ამ პროცესით „ქართულმა ოცნებამ საფრთხე შეუქმნა ქართველი ხალხის ევროპულ ოცნებას“ (Civil.ge 2023g).

ამის საპირისპიროდ, ევროკავშირთან დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობები კვლავ ინტენსიურია. 2023 წლის განმავლობაში თბილისში ორი მაღალი დონის ფორმატი – ევროკავშირსა და საქართველოს შორის უსაფრთხოების საკითხებზე მეხუთე სტრატეგიული დიალოგი და მაღალი დონის ევროკავშირის რეგიონული ამბასადორიალი – გაიმართა (Agenda.ge. 2023ა; Agenda ge. 2023ბ). გარდა ამისა, საქართველოს ეწვია ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) გენერალური მდივნის მოადგილე ენრიკე მორა, ევროკომისარი სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში, ოლივერ ვარჰეი და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ჯოზეფ ბორელი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა, პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ასევე ჩაატარეს ვიზიტები ბრიუსელში 2023 წლის განმავლობაში (MFA of Georgia n.d. MFA of Georgia 2023ც).

ფინანსური დახმარების თვალსაზრისით დინამიკა ასევე პოზიტიური რჩება: 2023 წელს ევროკავშირმა მიიღო საქართველოსთვის €30 მილიონიანი დახმარების გადაწყვეტილება ევროპის სამშვიდობო ფონდის ფარგლებში (EPF), რაც აღემატება წინა ორი დახმარების პაკეტს: 2022 წლის დეკემბერში დამტკიცებული €20 მილიონი და 2021 წლის დეკემბერში დამტკიცებული €12.75 მილიონის სახით (European Council 2023ა).

საერთო ჯამში, 2023 წელს ექსპერტების მიერ ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროგრესის შეფასებამ 6.25 ქულით დაინია და გაუტოლდა 26.42 ქულას. ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული ტრენდი რჩება იგივე, რაც 2022 წელს: მმართველობის ქულა ევროკავშირში განვერიანების გაუმჯობესების კუთხით არ იცვლება (30 ქულა), მაშინ, როდესაც ევროკავშირთან ურთიერთობების გაუმჯობესების ქულა დრამატულად გაუარესდა (წინა 32 ქულიდან მიმდინარე 23 ქულამდე).

## **NATO-სთან და აზვ-სთან დაახლოება**

2023 წელს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის გამოცოცხლების ფონზე, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ დისკუსიებს ნაკლები სივრცე დაეთმო საქართველოს მთავრობის რიტორიკაში. ამ კუთხით, ივარაუდებოდა, რომ NATO-ს ივლისის ვილნიუსის სამიტზე გამოჩენდებოდა თუ რამდენად უნდა ჰქონოდა საქართველოს განვერიანების კუთხით წინსვლის მოლოდინი. თუმცა, მეორე მხრივ, ვილნიუსის სამიტი ალბათ ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შედეგიანი იყო საქართველოსთვის NATO-ს სამიტებს შორის (NATO 2023ა). მაშინ, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო NATO-ს სამიტის კომუნიკეში მიესალმა „პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას“ (საქართველოს საგარეო სამინისტრო 2023ა; NATO 2023), დოკუმენტი გამოხატავდა საქართველოს განვერიანების პერსპექტივაზე შემცირებულ ფოკუსს. სხვადასხვა ანალიზი აჩვენებს, რომ სამიტზე საქართველოსთან მიმართებით მნიშვნელოვანი პროგრესი არ დაფიქსირებულა და ქვეყანამ ძალიან მცირე პრაქტიკული შედეგი მიიღო ნატოს სამიტისგან (Gabrichidze 2023; Katamadze 2023; Koridze 2023). განგამის მთავარი მიზეზი იყო 2016 წლის შემდეგ NATO-ს სამიტის კომუნიკედან მანამდე შეთანხმებული შემდეგი სიტყვების გაქრობა: „საქართველოს ურთიერთობა NATO-სთან მოიცავს ყველა პრაქტიკულ მექანიზმს საბოლოო



განვერიანებისთვის მოსამზადებლად“ (NATO 2023ა).

სამიტამდე ორი თვით ადრე, საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბრატისლავას GLOBSEC-ის ფორუმზე წარმოთქმულ სიტყვაში რუსეთის უკრაინაში ომისა და კიევის მხრიდან NATO-ში განვერიანების სურვილის ერთმანეთთან დაკავშირებით (Garibashvili 2023). ეს განცხადება კრიტიკულად შეფასდა როგორც ადგილობრივ, ისე დასავლურ წრეებში (Koridze 2023; Austrevicius 2023). გარდა ამისა, NATO-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ხავერდოვანი კოლომინამ გამოთქვა: „შეშფოთება რეფორმების რიტმზე“, ისევე, როგორც „გარკვეული რეფორმების შინაარსზე“ (Civil.ge 2023ბ).

აღნიშნული გამოწვევის მიღმა, ფორმალური თანამშრომლობის თვალსაზრისით საქართველო აგრძელებს NATO-სთან დაახლოებას. NATO-სა და საქართველოს შორის ურთიერთობის დონე კოლომინამ შეაფასა როგორც ძალიან კარგი (Colomina 2023). ისევე როგორც 2022 წელს, ეს წელიც გამოირჩეოდა სხვადასხვა დონეზე მნიშვნელოვანი ორმხრივი ვიზიტებით როგორც ბრიუსელში, ისე თბილისში: პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეწვია NATO-ს სათაო ოფისს 2023 წლის აპრილში, სადაც შეხვედრა გამართა NATO-ს გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთან; NATO-ს და შვედეთის სამხედრო წარმომადგენლები 2023 წლის ნოემბერში ეწვივნენ თბილისს და ჩაატარეს სპეციალური სამხედრო კომიტეტის შეხვედრები საქართველოს შესაბამის სამხედრო კოლეგებთან (NATO 2023ა, NATO 2023დ). არსებითად მნიშვნელოვანია, რომ NATO-ს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის და ალიანსის მიერ ქვეყნისთვის სპეციალურად მორგებული დახმარების პაკეტის „სწრაფი“ იმპლემენტაციის მხარდასაჭერად (NATO 2023ვ).

თანამშრომლობა გრძელდება სამხედრო/თავდაცვის სფეროში ურთიერთთავსებადობის ინიციატივების კუთხითაც. ამ მხრივ, NATO-ს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით ჩატარებული საერთაშორისო სწავლებების მიღმა (Mod of Georgia 2023), მნიშვნელოვანი ნაბიჯები ასევე მოიცავდა შემდეგ ერთობლივ სწავლებებს: უწყებათშორისი სამეთაურო-სამტაბო სწავლება დიდგორი 2023, Maple Arch 2023, მტკიცე სული 2023, ღირსეული პარტნიორი 2022 (Mod of Georgia 2023). საკამათო გახდა საქართველოს არყოფნა ყველაზე დიდ მრავალეროვნულ წვრთნაზე „Defender 23“, თუმცა, როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და აშშ-ს საელჩომ განაცხადეს, „[თბილისმა და ვაშინგტონმა] ერთობლივად გადაწყვიტეთ, რომ რესურსები მივმართოთ ქვეყნის შიდა, მრავალეროვნულ სწავლებებზე: „Agile Spirit“ და „ღირსეული პარტნიორი“ და მათ წარსულ წარმატებაზე დაყრდნობით, მაქსიმალურად ეფექტიანად გავაძლიეროთ საქართველოს ურთიერთთავსებადობა, მედეგობა და თავდაცვისუნარიანობა“ (US Embassy to Georgia 2023ა).

აშშ-სთან ურთიერთობის კუთხით, ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინსვლა არ დაფიქსირებულა. თუმცა, ორი ქვეყნის თანამშრომლობის ისტორიაში პირველად, 2023 წელს დასაწყისიდან საქართველოს მოქალაქეები. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საჯაროდ დაასაწყვირა ოთხი ქართველი მოსამართლე, ვიზის აკრძალვის შესახებ 7031(ც) წესის შესაბამისად “მნიშვნელოვანი” კორუფციისთვის (US Embassy to Georgia 2023ბ). 2023 წლის 14 სექტემბერს 14, 2023, ქართული ოცნების ყოფილი პროკურორი და ბიძინა ივანიშ-

ვილთან დაახლოებული პირი, ოთარ ფარცხალაძე დასაბუთებულად ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის დეპარტამენტის საგარეო აქტივების კონტროლის ოფისის (OFAC) მიერ რუსეთის მიერ საქართველოზე “უარყოფითი გავლენის“ გავრცელებაში დახმარების გამო (OFAC 2023).

## საგარეო გამოწვევებზე რეაგირება

საგარეო საფრთხეების კუთხით, ორი განზომილების გამოყოფაა შესაძლებელი: გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების რისკები. გეოპოლიტიკურად, ბოლო დროს ჩინეთთან გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება ექსპერტთა, ოპოზიციური პარტიების წევრებისა და საერთაშორისო პარტნიორების ნაწილის მიერ შეფასდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე საკამათო ნაბიჯი საქართველოს მთავრობის მხრიდან. ერთი მხრივ, ქართველი სპეციალისტების ნაწილი ამტკიცებს, რომ თანამშრომლობას თან სდევს ვაჭრობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გაზრდილი პოტენციალი, რამაც შესაძლოა ქვეყანას ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს (Gujabidze 2023; კაკაბაძე 2023). მეორე მხრივ, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ის საქართველოს ჩინეთზე დამოკიდებულებას ზრდის, სტრატეგიულად უკავშირებს პეკინს, და საგარეო პოლიტიკის კურსს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ აბრუნებს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა საპარლამენტო ინტერპელაციის დროს ჩინეთთან სტრატეგიული შეთანხმება დაიცვა და ხაზი გაუსვა, რომ შეთანხმება “არანაირად არ ეწინააღმდეგება“ თბილისის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს (Parliament of Georgia 2023b).

2023 წელს საქართველომ გადრმავა სტრატეგიული პარტნიორობა და მაღალი დონის ურთიერთობები უნგრეთთან, რაც ქართული საზოგადოების ლიბერალური ნაწილისთვის დამატებითი შეშფოთების საფუძველია. ვიქტორ ორბანის მმართველობის ქვეშ მყოფი უნგრეთი მიჩნეულია როგორც არალიბერალური დემოკრატია ევროკავშირის აღმოსავლეთ ფლანგზე. ორბანის მჭიდრო კავშირები ვლადიმერ პუტინთან, რუსეთის აგრესიის ქვეშ მყოფი უკრაინის მიმართ მხარდაჭერის ნაკლებობა და ქვეყნის მმართველობის პოპულისტური სტილი უნგრეთს აქცევს პარტნიორად, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს ლიბერალურ დემოკრატიასა და წარმატებულ ვესტერნიზაციას. 2023 წლის მაისში ბუდაპეშტში გამართულ კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიური კონფერენციის ფარგლებში პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შეაქო უნგრელი კოლეგა და განაცხადა, რომ უნგრელ ხალხს გაუმართლა, რომ ყავს “ასეთი ბრძენი და გამჭრიახი“ ლიდერი (Gharibashvili 2023). სექტემბერსა და ოქტომბერში საქართველომ უმასპინძლა სულ მცირე ორი მაღალი დონის ვიზიტს თბილისში: ლასლო კოვერს, უნგრეთის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარესა და პრემიერ მინისტრ ვიქტორ ორბანს (1TV.ge 2023a). ამასთანავე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი შეხვდა უნგრელ კოლეგას პიტერ სიიარტოს. ხოლო საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილებამდე ცოტა ხნით ადრე, მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ 4-დღიანი ვიზიტი განახორციელა ბუდაპეშტში. ექსპერტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ამგვარი დაახლოება გამომდინარეობს იქიდან, რომ ქართული ოცნება უნგრეთს განიხილავს როგორც მაგალითს, რომლის მიბაძვაც ღირს იმ ფონზე, როდესაც უფრო და უფრო ძლიერდება თბილისის კრიტიკა დემოკრატის სტაგნაციისა და ფუნდა-

მენტური რეფორმების გაუტარებლობისათვის (Kelly 2023; Kucera 2023). ეს დინამიკა საქართველოს არალიბერალურ გეოპოლიტიკურ სივრცესთან აახლოებს და ქვეყანას რუსული ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ უფრო მეტად მონყვლადს ხდის.

2022 წლის მსგავსად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველოს პოზიციონირება დადებითადაა შეფასებული. საქართველო ინარჩუნებს ტრადიციულ, ნეიტრალურ როლს და ცდილობს შეასრულოს მედიატორის როლი სამეზობლოში პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში. ქვეყანა წარმატებით აგრძელებს უსაფრთხოების საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობას აზერბაიჯანთან და თურქეთთან სამხრეთი თანამშრომლობის ფორმატებში. აზერბაიჯან და თურქეთთან კოლეგებთან სამხრეთი სწავლებები, როგორცაა Eternity 2023 რჩება რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელოვან ასპექტად. აპრილში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ ხელი მოაწერა აზერბაიჯანთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებას (MOD of Georgia 2023). ამავდროულად, საქართველოს მთავრობა ახერხებს 3+3 ფორმატში მონაწილეობისგან თავის შეკავებას: თბილისმა და უარი თქვა ამ წელს თეირანის მიერ გამართულ შეხვედრაში მონაწილეობაზე (ITV.ge 2023ბ).

## **მმართველობა უსაფრთხოების საკითხებში**

წლის განმავლობაში მმართველობის ეფექტიანობა ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთობების მართვის კუთხით რჩებოდა პრობლემური და აღინიშნებოდა ოკუპანტი ძალების მიერ საქართველოს მოქალაქეთა უკანონო გატაცებები და მკვლევობები (იხილეთ ეფექტიანი მმართველობა).

გარდა საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებისა, “ბორდერიზაცია” პროგრესირებდა პროცესად რჩება. რუსეთის საოკუპაციო ძალებმა განაგრძეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ხურვალეთის მიმდებარედ რკინის ბოძებისა და მავთულხლართების უკანონოდ აღმართვა. ანტისაოკუპაციო მოძრაობის „ძალა ერთობაშიას“ მიერ ასევე შემჩნეულ იქნა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის ირგვლივ გამშვები პუნქტების გაძლიერება (Katsarava 2023). 2023 წლის დეკემბერში გაიმართა ჟენევის დისკუსიის ფორმატის 59-ე რაუნდი, თუმცა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, რუსეთისა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული რეჟიმების წარმომადგენლებმა დატოვეს მოლაპარაკებები, რაც დისკუსიის ფორმატს არაეფექტიანს ხდის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ პირობებთან დაკავშირებული უმთავრესი საფრთხეების გადაჭრის კუთხით (MFA of Georgia 2023).

ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის აქტიურობა გაგრძელდა 2023 წელს. ოჩამჩირეში საზღვაო ფლოტის განთავსების შესახებ რუსეთის განზრახვამ განგაში გამოწვია, რადგანც მისი საქართველოს კონტროლირებად უახლოეს დასახლებასთან, ანაკლიასთან 35 კილომეტრის მოშორებით განთავსება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის უსაფრთხოებას. მიმდინარე წელს მოხდა რუსეთისთვის ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის 49-წლიანი იჯარით გადაცემის შეთანხმების რატიფიცირება (Apsnypress 2023ბ).

რუსეთთან ურთიერთობების მართვა 2023 წელს როგორც ადგილობრივი საზოგადოების ისე დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკის საგანი იყო. დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში რუსეთთან ურთიერთობის ე. წ. „ნორმალიზაციის“ პროცესი კვლავ ხვდებოდა საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში. სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და ფრენების აკრძალვის მოხსნის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილების შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა განაცხადა, რომ ჰუმანიტარული პერსპექტივიდან ეს გადაწყვეტილება „მისასალმებელია ნებისმიერი პასუხისმგებლიანი სახელმწიფოსთვის“ (TV Imedi 2023). ქართული ოცნების ყოფილი მაღალჩინოსანი და ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირი, ოთარ ფარცხალაძე დასაქცირდა ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის დეპარტამენტის საგარეო აქტივების კონტროლის ოფისის (OFAC) მხრიდან რუსეთის მიერ საქართველოზე “უარყოფითი გავლენის“ გავრცელებაში დახმარების გამო (OFAC 2023). მმართველმა პარტიამ სანქცირებულ ყოფილ პროკურორს მხარი დაუჭირა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს მოსთხოვა სამართალდარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებები (Civil.ge 2023 სექტემბერი). ამგვარი რეაგირება ნარმოაჩენს რუსეთის ჰიბრიდული ინტერვენციის შემცირების და უსაფრთხოების საკითხებში მმართველობის კუთხით შესაძლო ნაკლოვანებების არსებობას. ექსპერტები მიუთითებენ საქართველოს მთავრობის რეაქციაზე, კოლაბორაციის მიმართ ღიაობასა და მოსკოვის საამებლად გამობატულ ჟესტებზე (GENTÉ 2023; Groeneveld 2023).

2023 წელს საგარეო უსაფრთხოების კუთხით მმართველობის ეფექტიანობის შეფასება გაუარესდა და შეადგინა 25 ქულა (2022 წელს მინიჭებული 34.0-დან). ქულის ყველაზე დიდი კლება განიცადა რუსეთთან ურთიერთობის მართვის კომპონენტმა (36-დან 25-მდე), რაც ძირითადად მიუთითებს იმაზე, რომ ექსპერტები, საქართველოს მთავრობის მხრიდან რუსეთთან ურთიერთობის დათბობისადმი მზაობას აფასებენ, როგორც უარყოფით ტენდენციას გაზრდილი საგარეო საფრთხეების ფონზე.

## შეჯამება

საერთო ჯამში, როგორც წინა წლებში, საქართველოს მთავრობის ეფექტიანობა საგარეო მმართველობის სფეროში მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის ისეთმა შიდადემოკრატიულმა ფაქტორებმა, როგორებიცაა პოლარიზაცია და სუსტი რეფორმები და პრობლემები ადამიანის უფლებების მიმართულებით, როგორც ეს ასახული იყო ევროკავშირის რეკომენდაციებში. ექსპერტთა პანელის შეფასების თანახმად, ქვეყნისთვის უმთავრეს გამოწვევად რჩება რუსული ოკუპაცია, რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავების კუთხით არაოპტიმალური მმართველობა, ავტოკრატიული ტენდენციების გაძლიერება, ისეთი სტრატეგიული პარტნიორების უგულვებლყოფა და მათზე თავდასხმა, როგორიცაა აშშ და ევროკავშირი, ახალი არალიბერალი სტრატეგიული პარტნიორები, როგორიცაა ჩინეთი და უნგრეთი. მეორე მხრივ, შედარებით დადებითი შეფასება მიეცა ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, 3+3 ფორმატისთვის თავის არიდებას, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მშვიდობის შენების პროცესში ჩართულობას.

ექსპერტთა თანახმად, 2024 წელს მმართველობის საგარეო მიმართულების გასაძლიერებლად მისაღები საჭირო ზომები მოიცავს: ახალი სტრატეგიული პარტნიორების მოძებ-



ნას, ევროკავშირის პირობების დაკმაყოფილებას განეწიანების პროცესის წინ წასანევადა, ქვეყნის უსაფრთხოების შესაძლებლობების გაუმჯობესების თვალსაზრისით საერთაშორისო პოზიციონირების გააქტიურებას, სასამართლო და საარჩევნო რეფორმების გატარებას საქართველოს დემოკრატიის გასაუმჯობესებლად, დეპოლარიზაციას, უკრაინასთან ურთიერთობების აღდგენას.

შეჯამების სახით, 2023 წელს საქართველოს საგარეო მმართველობამ განიცადა წინსვლა ძირითადად ევროინტეგრაციის, NATO-სა და აშშ-სთან სამხედრო ურთიერთდასახეობის კუთხით აქტიური თანამშრომლობის გაგრძელების, სტრატეგიული პარტნიორების უმრავლესობასთან აქტიური ორმხრივი ურთიერთობების შენარჩუნების მიმართულებით.

თუმცა, GGI გამოკითხვაში, საქართველომ საგარეო მმართველობის სფეროში მმართველობის სფეროებს შორის ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა. ამასთანავე, მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ევროინტეგრაციის პროცესში, რამდენადაც საქართველომ მიიღო ევროკავშირისგან კანდიდატის სტატუსი. თუმცა, პრობლემები რეფორმების ეფექტიანი განხორციელების მხრივ, ქმნის გამოწვევებსა და გაურკვეველობას ინტეგრაციის შემდგომ გზაზე. საქართველო აგრძელებს NATO-ს სტანდარტებთან თანხვედრას, მაგრამ დაძაბული პოლიტიკური გარემო უარყოფითად ზემოქმედებს დაახლოების ამ განზომილებაზე.

2023 წელს GGI-ს საგარეო მმართველობაზე უარყოფითი ზეგავლენა ყველაზე პოლიტიზირებულმა ფაქტორებმა მოახდინა – კერძოდ, დასავლელი პარტნიორების კრიტიკამ საქართველოში რეფორმების გატარების ნელი ტემპის გამო და ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების გამძაფრებულმა რიტორიკამ სახელმწიფოს ტრადიციული პარტნიორების წინააღმდეგ. დაბალი ქულები საქართველოს ევროკავშირთან და აშშ-სთან ურთიერთობების მართვის კუთხით ემთხვევა ქვეყნისთვის ყველაზე ხშირად ხსენებულ გამოწვევას – სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობის გაფუჭებას (დიაგრამა 4).

მართალია, შესაძლებელია მსჯელობა რუსეთსა და უკრაინას/დასავლეთს შორის ბალანსის პოლიტიკის სარგებლიანობაზე, თუმცა, ამგვარი მიდგომა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ღირებულებითი განზომილების შესახებ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა შავი ზღვის სანაპიროს ოკუპირებულ ნაწილებში რუსეთის მზარდი გავლენის პირობებში საქართველოსთვის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების მხრივ დამატებითი საფრთხეები ჩნდება.

თუმცა, უფრო ფართო და ხანგრძლივ სურათში ვხედავთ მეტ განგრძობადობას, შემდეგი საკვანძო მიმართულებით: პრაგმატიზმზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა, რუსეთთან დაკავშირებული რისკებისადმი შემგუებლობა, განსაკუთრებით უსაფრთხოების მმართველობის თვალსაზრისით, და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სახიფათო სიტუაცია. უკრაინაში ომის კვალდაკვალ შავი ზღვის სანაპიროს ოკუპირებულ ნაწილებში რუსეთის გაზრდილი ყოფნა მეტ საფრთხესა და გამოწვევას უქმნის საქართველოს სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას.

ზედიზედ მესამე წელია საქართველოს მმართველობის ინდექსი (GGI) უზრუნველყოფს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სრულყოფილ შეფასებას მმართველობის ოთხ ფართო კატეგორიაში (დემოკრატიული, ეფექტიანი, სოციალური და ეკონომიკური და საგარეო). GGI ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად შეფასდა საქართველოს მმართველობის შედეგანობა თითოეული მმართველობის კატეგორიაში, ხოლო ნარატიულმა ანალიზმა წარმოაჩინა ექსპერტთა პასუხების დეტალური ანალიტიკური კონტექსტი.

ანგარიშში აღწერილია საქართველოს რთული გზა მრავალმხრივი ტრანსფორმაციისკენ. 2023 წლის ანგარიში წარმოაჩენს როგორც განგრძობადობას ისე ცვლილებებს წინა ანგარიშებთან მიმართებით. მიგნებები გამოკვეთს მუდმივ გამოწვევებს დემოკრატიულ მმართველობაში, რაც დასტურდება პოლიტიკური პოლარიზაციითა და სასამართლოსთან დაკავშირებული წინააღმდეგობებით. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების მედეგობა და გარკვეული სახელმწიფო ინსტიტუტების, განსაკუთრებით პრეზიდენტის პროაქტიული როლი, დემოკრატიის გაღრმავების იმედის ნაპერწკალს წარმოადგენს.

ეფექტიან მმართველობასთან დაკავშირებით, ანგარიშში ხაზგასმულია სისტემური არაეფექტიანობა, რაც ხელს უშლის პოლიტიკის განხორციელებასა და საჯარო სერვისების მიწოდებას და შემოთავაზებულია სტრუქტურული რეფორმების საჭიროება. სოციო-ეკონომიკური მმართველობის თვალსაზრისით, მიუხედავად ზოგიერთ სფეროში გარკვეული პროგრესისა, მნიშვნელოვანი უთანასწორობები და მოწყვლადობა კვლავ სახეზეა, რაც საჭიროებს უფრო ინკლუზიური და მდგრადი განვითარების პოლიტიკას.

და ბოლოს, საქართველოს საგარეო მმართველობა ხასიათდება კომპლექსური, ურთიერთწინააღმდეგობრივი დინამიკით, ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვისა და რეგიონული უსაფრთხოების მხრივ არსებული წნეხის დაბალანსების პროცესში. ევროკავშირის მიერ საქართველოს კანდიდატის სტატუსის აღიარება მნიშვნელოვანი ეტაპია, თუმცა, იგი ასევე აწვდის რეფორმების მძლავრ ნიშნულებს, განსაკუთრებით დემოკრატიული სტანდარტებისა და მართლმსაჯულების მიმართულებით.

ამრიგად, GGI-ს 2023 წლის ანგარიში, არა მხოლოდ ასახავს საქართველოში მმართველობის ევოლუციას, არამედ გვთავაზობს გზამკვლევს მასთან დაკავშირებული მრავალწახნაგოვანი გამოწვევების საპასუხოდ. ანგარიში ხაზს უსვამს მრავალსომცველი რეფორმების, სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერების იმპერატივს იმისთვის, რომ მოხდეს დემოკრატიული კონდოლიდაციის, ეფექტიანი მმართველობისა და სოციო-ეკონომიკური მედეგობის რთულ გზაზე ნავიგაცია. რამდენადაც საქართველო დგას კრიტიკულ გზაგასაყარზე, ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო აქტორების ერთობლივი ძალისხმევა გადამწყვეტია ევროინტეგრაციის კუთხით გაჩენილი ისტორიული შესაძლებლობის, როგორც ტრანსფორმაციული ცვლილების კატალიზატორად გამოყენებისთვის.



## დემოკრატიული მმართველობა

- Agenda.ge. 2023. *Georgian Orthodox Church Patriarch meets foreign diplomats to discuss EU integration*. ხელმისაწვდომია: <https://agenda.ge/en/news/2023/4790>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Civil.ge. 2023. *CEC announces preliminary results of April 29 midterm/extraordinary elections*. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/539662>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024.
- Civil.ge. 2023. *Dispatch: 2023 – year in review*. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/576116>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Civil.ge. 2023. *Explainer: What is the Anti-Maidan Movement?* ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/566380>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Civil.ge. 2023. *Georgia parliament appoints Levan Ioseliani as Public Defener*. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/529358>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Civil.ge. 2023. *Georgian Dream will vote for the “Foreign Agent” law*. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/526385>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Civil.ge. 2023. *Georgian parliament fails to impeach president Salome Zurbashvili*. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/564214>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Civil.ge. 2023. *Parliament adopts amendments to Georgian broadcasting law*. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/550525>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024.
- Civil.ge. 2023. *Police stand by as far-right groups attack Tbilisi Pride Festival*. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/551380>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Civil.ge. 2023. *US Embassy: ISFED’s exclusion contradicts European Commission’s recommendations*. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/505246>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Coalition. 2023. *The Coalition reacts to another facade draft law initiated by Georgian Dream and to the Venice Commission’s opinion*. ხელმისაწვდომია: [http://coalition.ge/index.php?article\\_id=301&clang=1](http://coalition.ge/index.php?article_id=301&clang=1). ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- CRRC. 2021. *Caucasus Barometer*. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/datasets/>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- CSO Meter. 2022. *CSO Meter 2022: Georgia country report*. ხელმისაწვდომია: [https://csometer.info/sites/default/files/2023-10/2022%20Georgia%20CSO%20Meter%20Country%20Report\\_0.pdf](https://csometer.info/sites/default/files/2023-10/2022%20Georgia%20CSO%20Meter%20Country%20Report_0.pdf). ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- EU External Action. 2023. *Georgia: press remarks by High Representative/Vice President Joseph Borell after meeting with Prime Minister Irakli Garibashvili*. ხელმისაწვდომია: [https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-press-remarks-high-representativevice-president-josep-borrell-after-meeting-prime-minister\\_en?channel=eeas\\_press\\_alerts&date=2023-09-08&newsid=0&langid=en&source=mail&fbclid=IwAR2nSbUQEdrjHiqODFmSRgXUCl-RpzigJzEwzYsU8wwpmbSDQpP66YsHvCYr0](https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-press-remarks-high-representativevice-president-josep-borrell-after-meeting-prime-minister_en?channel=eeas_press_alerts&date=2023-09-08&newsid=0&langid=en&source=mail&fbclid=IwAR2nSbUQEdrjHiqODFmSRgXUCl-RpzigJzEwzYsU8wwpmbSDQpP66YsHvCYr0). ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Euractiv. 2023. *EU condemns Georgia’s “foreign agents” law as protest continue*. ხელმისაწვდომია: <https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/eu-condemns-georgias-foreign-agents-law-as-protest-continue/>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Euractiv. 2023. *Georgian ruling party withdraws foreign agents bill after protests*. ხელმისაწვდომია: <https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/georgian-ruling-party-withdraws-foreign-agents-bill-after-protests/>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- European Commission. 2023. *Georgia 2023 report*. ხელმისაწვდომია: [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD\\_2023\\_697%20Georgia%20report.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf). ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024

- EWMI. 2019. *Assessment of the Civil Society Sector in Georgia*. ხელმისაწვდომია: [https://ewmi-access.org/wp-content/uploads/2020/01/CSO-ASSESSMENT\\_ENG\\_Final.pdf](https://ewmi-access.org/wp-content/uploads/2020/01/CSO-ASSESSMENT_ENG_Final.pdf). ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Freedom House. 2023. *Freedom in the World: Georgia*. ხელმისაწვდომია: <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2023>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Freedom House. 2023. *Nations in Transit 2023: Georgia*. ხელმისაწვდომია: [https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2023#footnote1\\_b3a085r](https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2023#footnote1_b3a085r). ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- GIP. 2022. *The Georgia Governance Index*. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/the-georgia-governance-index-ggi-2022/>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Intellinews. 2023. *Georgia`s National Bank president confirms suspension of IMF programme*. ხელმისაწვდომია: <https://www.bne.eu/georgia-s-national-bank-president-confirms-suspension-of-imf-programme-294545/>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- IRI. 2023. *National public opinion survey of residents of Georgia*. ხელმისაწვდომია: <https://www.iri.org/resources/national-public-opinion-survey-of-residents-of-georgia-march-2023/>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- ISFED. 2023. *Summary assessment report of the extraordinary/by-elections held on April 29, 2023*. ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/eng/gantskhadebebi/2023-archevnebi>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- ISFED. 2023. *The Coalition reacts to the election of Shota Kadagidze as an independent inspector*. ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/eng/gantskhadebebi/koalitsia-damoukidebel-inspektorad-shota-qadagidzis-archevas-ekhmaureba>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- ISFED. 2023. *The rule for electing the CEC chairperson and professional members is not improved substantially*. ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/eng/gantskhadebebi/samartliani-archevnebis-gantskhadeba-saqartvelos-parlamentshi-initsiirebuli-kanonproeqtebis-shesakheb-romelta-tanakhmadats-itsvleba-tseskos-dakompleqtebis-tsese>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Kandelaki, Salome. 2023. *Low Election Threshold: the End of Bipolarity or a New Challenge? Georgian Institute of Politics*. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/%e1%83%93%e1%83%90%e1%83%91%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a9%e1%83%94%e1%83%95%e1%83%9c%e1%83%9d-%e1%83%91%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%98/> ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Lossi 36. 2023. *How Georgia`s youth mobilized against a controversial foreign agent law*. ხელმისაწვდომია: <https://lossi36.com/2023/03/14/how-georgias-youth-mobilised-against-a-controversial-foreign-agent-law/> ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Netgazeti.ge. 2023. *პაპუაშვილის თქმით, ბარიერის 2%-მდე დანევა არ განიხილება*. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/668106/>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- OC Media. 2023. *Georgia amends broadcast law despite media watchdog warnings*. ხელმისაწვდომია: <https://oc-media.org/georgia-amends-broadcast-law-despite-media-watchdog-warnings/>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- OC Media. 2023. *Resignations at Georgian National Bank after Partskhaladze asset freeze revoked*. ხელმისაწვდომია: <https://oc-media.org/resignations-at-georgian-national-bank-after-partskhaladze-asset-freeze-revoked/>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024.
- Parliament of Georgia. 2023. *ინტერპელაცია*. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Parliament of Georgia. 2023. *კანონპროექტი: „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“*. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/27151>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Parliament of Georgia. 2023. *მინისტრის საათი*. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024

- Qartia.ge. 2023. მედიის ადვოკატორების ორგანიზაცია ეხმიანება მმართველი პარტიის მიერ „მაუწყებლობის შესახებ კანონში“ ინიცირებულ მორიგ ცვლილებებს. ხელმისაწვდომია: <https://www.qartia.ge/siakhleebi/article/95972>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Radio Liberty. 2023. *In Georgia if you want to hear the ruling party's talking points, just go to church.* ხელმისაწვდომია: <https://www.rferl.org/a/georgia-ruling-party-ukraine-anti-gay-church/32431609.html>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
- Reporters without borders. 2023. *Press Freedom in World: Georgia.* ხელმისაწვდომია: <https://rsf.org/en/country/georgia?fbclid=IwAR2nUGeoR05AOWb4DFTwcn2Bq2UFFcspaY602R9MAOGTZbYy43PS75z8FeE>. ბოლოჯერ ნანახია: 11.02.2024
